სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი სამშაბათი 24 მაისი 2005 №114 (2437) ფასი 50 თეთრი

პროფლიგამ ხმა გენმდივანს ჩააბარა

გუშინ ფეხბურთის სახლად წოდებულ ფეხბურთის ფედერაციის შენობაში პროფლიგის კონფერენცია გაიმართა. განსახილველი საკითხი ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებს უკავშირდებოდა. პროფლიგელებმა ყრილობაზე თავიანთი დელეგატები დაასახელეს. ოღონდ ერთიცაა, პროფლიგის სამი დელეგატიდან ხმის უფლება მხოლოდ ერთს, პროფლიგის გენერალურ მდივანს რევაზ ლორთქიფანიძეს ექნება.

მას სძულდა დიქსი

ერთ სეზონში 60 გოლი

9



დღეს!

სტუ-ჯეოსელი თუ ავიაშენი? საჩემპიონო მატჩი

12

მაფიოზებო ქართული სპორტისა, ჩამოგვშორდით!

მიხეილ სააკაშვილის სპორტული პათოსი: სუფთა ხელები, სუფთა საქმე, სუფთა თამაში

საქართველოს უნდა ჰყავდეს ძლიერი ჯარი და მსოფლიოში გამორჩეული სპორტსმენები!

აი, ეს იყო საქართველოს პრეზიდენტის მთავარი სურვილი და მოწოდება სპორტის აკადემიაში გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სპორტის დეპარტამენტის, თბილისის სპორტის სამსახურის, ოლიმპიური კომიტეტისა და ფედერაციების ხელმძღვანელები, სპორტის აკადემიის პროფესორ-მასწავლებლები.

მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა მოისმინა ინფორმაცია ქართული სპორტის მდგომარეობის შესახებ, თქვა, რომ მაფიოზები უნდა ჩამოვაშოროთ სპორტულ ბაზებს, მათ შორის „ქარიშხალას“ სპორტკომპლექსს, რომელიც პროფკავშირების ბალანსზეა, მაგრამ იქ არ უშვებენ სპორტსმენებს, წყალბურთელებსაც კი, რომლებიც აღმავლობის გზაზე არიან და უკრაინის ჩემპიონატის ვერცხლის მედლებიც მოიპოვეს; უნდა ვუშველოთ ქართულ ფეხბურთს და დავიხსნათ იგი ყაჩაღებისა და ბანდიტებისგან; ქართული ფეხბურთი უნდა გავწმინდოთ იმათგან, ვინც მას „ციცქნის“ და ცდილობს ფედერაციაში ფეხის მოკიდებას...

პრეზიდენტმა ისაუბრა მასობრივი სპორტის განვითარების აუცილებლობაზე, სპორტული ინფრასტრუქტურისა და მწვრთნელთა პირობების გაუმჯობესებაზე.

სხდომის დასრულების შემდეგ ქართული სპორტის მესვეურებს სახეზე კმაყოფილება ეტყობოდათ. სულ რომ არაფერი, ის ფაქტი, რომ პრეზიდენტი სპორტის აკადემიაში გვეწვია და საჭირბოროტო საკითხებზე ისაუბრა, ძალიან ბევრს ნიშნავსო.

დავით ნამგალაური, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე: „მიხეილ სააკაშვილი ძალიან დაინტერესებულია ქვეყანაში სპორტის განვითარებით. ბუნებრივია, ამაში მასობრიობაც იგულისხმება, საქართველოს ჯანსაღი თაობა სჭირდება. დადგინდა, რომ არა მარტო თბილისში, არამედ რაიონებშიც 2000 მწვრთნელს ხელფასის პრობლემა არ ექნება. მინიმალური ხელფასი 250 ლარი იქნება, ნაკრების მწვრთნელები კი, ცხადია, გაცილებით მეტს მიიღებენ. რა თქმა უნდა, ოლიმპიური სახეობები ყველა ქვეყანაში პრიორიტეტულია, მაგრამ არც არაოლიმპიური სახეობები დარჩება უყურადღებოდ“.

დიდი მატჩის მეორე დღე

... თავადაც ფეხბურთის გიჟმაჟ თურქებს ხილულად ნეიტრალური უჭირავთ, თუმცა ძნელი მისახვედრი არ არის, რომ მათი უმრავლესობა „მილანს“ გულშემატკივრობს. თუნდაც იმიტომ, რომ თავადაც ბობოქარ და თავზეხელაღებულ თურქ გულშემატკივრებს მსოფლიოში ყველაზე მეტად ინგლისელი გულშემატკივრები არ უყვართ, სტამბოლში კი მძლავრი და ქალაქთა დამპყრობი მრავალათასიანი ინგლისელი დესანტის მთავარი ნაწილი ოცდახუთში დილით გადმოჯდება...

იხილეთ მეორე გვერდი

გიო ახვლედიანი სტამბოლიდან

UEFA CHAMPIONS LEAGUE

istanbul
The Final 2005

FAN OF THE YEAR
presented by
ეროვნული ბანკი
AMSTEL

დიდი მატჩის მეორე დღე

თქვენ გგონიათ, სტამბოლი ამ ფეხბურთით ცხოვრობს?

გიო ახვლედიანი სტამბოლიდან

ჯერ არა, დღეიდან კი ალბათ დაიწყება ამ ფეხბურთით ცხოვრება, რადგან თერთმეტის ნახევრიდან ათათურქის, იმავდროულად ოლიმპიურ სტადიონზე მიჯრით ჩატარდება რაფა ბენიტესის და კარლო ანჩელოტის პრეს-კონფერენციები.

თუმცა სტამბოლი მაინც ფეხბურთით ცხოვრობს.

— ფეხბურთზე ჩამოხვედი? გუშინ იყო კარგი ფეხბურთი.

„გუშინ", ანუ კვირა საღამოს სტამბოლში ერთმანეთს ებრძოდნენ „გალათასარაი" და „ფენერბაჰჩე". ამიტომ თურქებს, როგორც იმ ხალხს, რომელსაც პირველ რიგში თავისი უყვარს და აინტერესებს ამ დიდი ისტანბულური დერბის განცდა ორშაბათ საღამომდეც კი გამოჰყვათ.

ქალაქს გამოჰყვა „ფენერის" ლურჯ-ყვითელი დროშებიც, რადგან საუკუნისტოლა ისტორიის გუშინდელ ნაწყვეტში სწორედ „ფენერმა" გაიმარჯვა და თურქეთის ჩემპიონიც გახდა.

მთელი ღამე არ შეწყვეტილა ღრიანცელი, ზეიმი, საყვირები და დროშათა ფრიალი. ამ ქალაქში, როგორც გიჟებს, ისე უყვართ ფეხბურთი.

უყვართ, როგორც მანქანას ბენზინი, ბიჭს გოგო და ასე დაუსრულებლად ანუ ნამდვილად. ამიტომ სტამბოლი ყოველგვარ ფეხბურთს აღტაცებით მოელის, თუმცა სულ სხვა იქნებოდა, ფინალში თურქული გუნდი რომ ყოფილიყო.

წლეულს ისტანბულის დიადებმა ამ სიხარულისა და აღტყინების შანსი არ მისცეს თავიანთ გიჟმაჟ ქომაგებს, მაგრამ საერთოევროპული სახლისკენ მიახლოებას ფინალის მათ ქალაქში დანიშვნითაც იმჩნევენ და როგორღაც შურითაც კი გიყურებენ, როცა ეუბნები, სწორედაც ჩემპიონთა ლიგის ფინალზე ჩამოვედიო.

სიმკაცრე, პოლიციობა და უსაფრთხოება დიდი იქნება, ბევრად დიდი, ვიდრე კვირას იყო. პოსტები ათათურქის სტადიონიდან კარგა მოშორებით განლაგდება და მედიასაც კი პასპორტებს მოსთხოვენ. ხუმრობა ხომ არ არის?!

თავადაც ფეხბურთის გიჟმაჟ თურქებს ხილულად ნეიტრალური უჭირავთ, თუმცა ძნელი მისახვედრი არ არის, რომ მათი უმრავლესობა „მილანს" გულშემატკივრობს. თუნდაც იმიტომ, რომ თავადაც ბობოქარ და თავზეხელაღებულ თურქ გულშემატკივრებს მსოფლიოში ყველაზე მეტად ინგლისელი გულშემატკივრები არ უყვართ, სტამბოლში კი მძლავრი და ქალაქთა დამპყრობი მრავალათასიანი ინგლისელ დესანტის მთავარი ნაწილი ოცდახუთში დილით გადმოჯდება.

ორშაბათ საღამოსთვის ქალაქში უკვე ჩანდნენ პირველი ლივერპულელები, ოლონდაც ეს ზღვაში წვეთია. ინგლისელები ხომ მაინცდამაინც სტადიონზე შესასვლელად არ მოდიან. მათი უმეტესობა გარეთ იქნება ანუ სტამბოლის ტრადიციულ დაპყრობას შეეცდება.

ვისაც ახსოვს, რა გადახდა ამ ქალაქში ლიდსელ და მანჩესტერელ ფანებს, მან სიფრთხილისკენ უნდა მოუწოდოს მერსისაიდელებს. აქ დანიანი ბიჭები ღირსებას სულ სხვანაირად იცავენ.

ცნობილი ამბავია: „ლივერპულის" გულშემატკივრები ყველაზე მაგარი გულშემატკივრები არიან მსოფლიოში, ოღონდ ისინი არ არიან ყველაზე კეთილი გულშემატკივრები.

ჰო, სტამბოლში სულაც არა დგას მზიანი დღეები. კვირის დასაწყისი ისეთივე ღრუბლიანია, როგორიც გასული კვირა იყო თბილისში. სტამბოლს თავისი ფეხბურთი იმდენი აქვს, რომ ჯერჯერობით ამ ფეხბურთით არ ცხოვრობს, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის ფინალის მოახლოებას აქ ყოველ ნახევარ კილომეტრში გამცნობთ ოფიციალური შინდისფერი პლაკატი. რა თქმა უნდა, სიამაყის გრძნობა და მონდომებაც.

ათათურქის აეროპორტში საგანგებო გამშვები პუნქტებიც კია, რომლებსაც სამ ენაზე, რუსულად, ინგლისურად და არაბულად აწერია, ლიგის სტუმრები ამ ჩეკპოინტებზე მობრძანდითო.

სხვა რა მოგახსენოთ: პრეს ცენტრში გუშინ სიხალვათე იყო. ევროპული მედიის გროსმაისტერთა რეგისტრაცია დღეიდან დაიწყება, გუშინ კი მედია სასტუმროებში ნადირობდა მწვრთნელებზე, რომლებიც, სიმართლე ვთქვათ და, ახალს და საინტერესოს არაფერს ამბობენ. ორივეს, რაფასაც და კარლოსაც, გამოკვეთილად ცივი და სამურაული სახეები დაუყენებიათ, უხმაუროდ კი რა გამოვა, თანაც ბევრი.

იერუსალიმზე ამბობენ, სამყაროს ჭიპიაო, ლონდონზე — ტვინიო. არ ვიცი როგორ, მაგრამ სტამბოლი სამყაროს გულია. ჰოდა, ფეთქვა ნამდვილად ექნება. აქ ძალიან ბევრი მეჩეთი



და ეკლესიაა, ბევრად მეტი ვიდრე სტადიონი. ალბათ ამიტომაც, ლივერპულელი ლუის გარსია ამბობს, იქ, მაღლა ვიღაცას უნდა, რომ ჩვენ გავიმარჯვოთ, აქამდე იმიტომ მოგვიყვანაო.

იქ, მაღლა, ცხადია, ვინც არის, ხოლო სტამბოლში კი შეუძლებელია, ღმერთზე არ იფიქრო, მითუმეტეს, რომ ნინ ჩემპიონთა ლიგის ფინალი გაქვს. რომ იტყვიან ხოლმე, ფეხბურთის ღმერთი იყო ამა თუ იმ გუნდის მხარესო, სისულელეა. ფეხბურთის ღმერთი არ არსებობს. ერთი ღმერთი არსებობს და ამბობენ, რომ ის ფეხბურთშიც ერევა. ჰოდა, ვნახოთ, სწორედ ის დღე ახლოვდება, როდესაც ამგვარი ჩარევები ყველაზე მეტად ჩანს ხოლმე.

კობიაშვილი კათხას თასამდე აწევს?

ევროპული საფეხბურთო კულტურა მოითხოვს და დღეს ლევან კობიაშვილი ლუდხანა SCHALKER STAMMTISCH-ს ესტუმრება, მაგრამ მისი ვიზიტის მთავარი მიზანი ლუდის სმა სულაც არაა — კობიაშვილი იქ „შალკეს“ გულშემატკივრებს შეხვდება სასაუბროდ — ეს კაფე შალკელ ქომაგთა თავისებული ნავსადგურია. SCHALKER STAMMTISCH-ში პერიოდულად სტუმრობენ „შალკეს“ ფეხბურთელები, კობიაშვილამდე იქ გულშემატკივრებთან „შალკეს“ მწვრთნელმა რალფ რანგნიკმა იბაასა.

28 მაისს კი სეზონის ბოლო მატჩია — ბერლინში „შალკე“ და „ბაიერნი“ გერმანიის თასისთვის იპაექრებენ.

დავით თავართქილაძე

რეინჯერსს თასი ვერტმფრენით მიართვეს

„გლაზგო რეინჯერსი“

ბოლო ტურამდე „სელტიკი“ ორი ქულით უსწრებდა „რეინჯერსს“, მაგრამ კელტებმა „მოზერუელთან“ სტუმრად 1:2 წააგეს, ხოლო „რეინჯერსმა“ ედინბურგში 1:0 სძლია „ჰიბერნიანს“. ისე, „მოზერუელს“ ბოლო წლებში არაერთხელ გაუმწარებია „სელტიკი“, თუმც ამჯერად ეს სულ სხვა წიწკვნა იყო.

მოკლედ, ბოლო ტურის პერიპეტიებზე რეინჯერსელი შოთა არველაძე გვიყვება, ვინც მეორედ გახდა შოტლანდიის ჩემპიონი.

— ბოლო ტურის მატჩები ერთდროულად დაიწყო. „სელტიკი“ პირველი ტაიმის შემდეგ 1:0-ს იგებდა, ხოლო ჩვენთან 0:0 იყო. მეორე ტაიმში კი დავწინაურდით, მაგრამ მოზერუელში „სელტიკი“ კვლავ იგებდა. ბოლო წუთებზე ედინბურგში წამოსულმა ათი ათასამდე რეინჯერსელმა გულშემატკივარმა ერთი ამბავი მორთო, წივილ-კივილი და ხტუნვა — „სელტიკს“ გაუთანაბრეს. ამასობაში ჩვენს თამაშში ძალიან დაიძაბა სიტუაცია, „ჰიბერნიანმა“ შემოგვიტია, კუთხურს კუთხურზე აწოდებდა, მსაჯმა თამაშს ოთხი წუთი დაამატა, მაგრამ გავძელით. მატჩი რომ დამთავრდა, გვეგონა, „სელტიკმა“ ფრე ითამაშა, ჩვენ „სელტიკის“ ფრეც გვყოფნიდა საჩემპიონოდ, მაგრამ თურმე სელტიკელებს წაუგიათ.

— ყველას იმდენად სჯეროდა „სელტიკის“ ჩემპიონობის, რომ შოტლანდიური პრემიერლიგის თასი მოზერუელში იყო ჩატანილი და თამაშის შემდეგ ვერტმფრენით ჩამოგვიტანეს ედინბურგში, სადაც საათნახევარი გავჩერდით. მერე გლაზგოში, ჩვენს სტადიონ „აიბროქსზე“ წავედით, სადაც დაახლოებით 35 ათასი ქომაგი გველოდა. ასე კარგად დამთავრდა ჩემთვის წარუმატებელი სეზონი.

დავით თავართქილაძე

ადამიას აზერბაიჯანშიც ოქროს მატჩი უწერია

აზერბაიჯანის ჩემპიონატში ბოლოსწინა ტური ჩათამაშდა. ბედის ირონიაა, აბა, რა არის, აზერბაიჯანს ქართველი ფეხბურთელები ჭიანჭველებივით რომ შესევიან. ისე, არც ჩვენს მეზობლებს აქვთ ისეთი ჩემპიონატი, ევროპას რომ შურით აფითრებდეს, მაგრამ 18-გუნდიან პირველობას რომ ატარებენ, ეს უკვე დამაფიქრებელია. ჩვენთან? ჩვენთან 10 უმაღლესლიგელიდან სამი ძლივს ამთავრებს სეზონს.

როგორც ჩანს, აზერბაიჯანშიც „ოქროს მატჩი“ გახდება საჭირო, რადგან ბაქოს „ნეფთჩიც“ და ლენქორანის „ხაზარიც“ მიჯრით იგებენ თამაშებს, 75-75 ქულა აქვთ და ალბათ არც ბოლო ტურში დაარღვევენ გრაფიკს. გიორგი ადამიასა და ვალერი აბრამიძის „ნეფთჩიმ“ შინ ძლივს წააქცია თენგიზ სიჭინავასა და ზაზა ლაცაბიძის „თურანი“ — 2:1. სტუმრებმა პირველი ტაიმი მოიგეს, მაგრამ „მენავთობეებმა“ შესვენების შემდეგ შტურმი მოაწყვეს და ადამიამ 67-ე წუთზე სოლო-გოლი მიითვალა — მარჯვენა ფლანგზე გაილაღა და შორეული დარტყმით ააფრთხალა ბურთი ბადეში. გამარჯვების გოლი კი ბაქოელებმა 85-ე წუთზე გაიტანეს.

„ნეფთჩის“ კონკურენტმა „ხაზარმა“ შინ 5:0 მოუგო „შახდაგს“ და ბოლო ტურში თუ ლიდერებმა თანაბარი ქულები მოაგროვეს, 1 ივნისს ადამიას შარშანდელივით „ოქროს მატჩი“ ელის.

ალეკო გოგობერიშვილმა წინა ტურში ორი გოლი გაუტანა „არაზს“, ამჯერად კი მის „ბაკის“ სტუმრად „კარატი“ შემოემარცხა — 1:0. გოგობერიშვილმა სრულად ითამაშა, მეორე ბაკელი მერაბ ძოძუაშვილი კი კვლავ სათადარიგო იყო. ბაქოელები მეხუთე ადგილზე არიან და მაქსიმუმ მეოთხეზე თუ აცოცდებიან, 28 მაისს კი თასის ფინალი აქვთ სათამაშო.

ილია ნანოგაფშვილი

დინამო 2 5:2 მაღაროელი

გორგომი	27	21	3	3	68:29	66
ამერი	27	20	3	4	81:15	63
სპარტაკი	27	15	8	4	45:27	53
ვიტ ჯორჯია	27	14	7	6	39:22	49
დინამო 2	28	15	1	12	61:46	46
კახეთი	27	14	4	9	45:37	46
ცხინვალი	27	13	4	10	35:31	43
ჩიხურა	27	10	7	10	29:30	37
გურია	27	10	7	10	28:36	37
ლოკომოტივი 2	27	9	6	12	30:38	33
რუსთავი	27	9	5	13	32:37	32
ოლიმპი	27	8	5	14	31:41	29
ივერია	27	8	5	14	25:41	29
მერანი	27	8	4	15	34:46	28
საგარეჯო	27	4	5	18	24:61	17
მაღაროელი	28	0	4	24	14:84	4

შევჩენკო და კომპანია სრული სვლით

საქართველოს ნაკრებმა იკითხოს, თორემ უკრაინა სასწაული განწყობით ელის მეორე შესარჩევი ჯგუფის მატჩებს. ოლეგ ბლოხინის სამწყსო 4 ივნისს კიევში ყაზახეთს უმასპინძლებს, 8 ივნისს კი პირეოსის „გეორგიოს კარაისკაკოსზე“ ოტო რეჰაგელის საბერძნეთს ესტუმრება.

ბლოხინმა 22-კაციანი შემადგენლობა დაასახელა, რომელთაგან არცერთი დებიუტანტი არ არის. ოლეგ ვლადიმიროვიჩმა კვლავ ფართოდ გაუღო კარი „დნიპროს“ მოთამაშეებს, საიდანაც 9 კაცი მიიწვია. შეგახსენებთ: უკრაინა 7 თამაშში მოგროვილი 17 ქულით ამაყად ლიდერობს ჯგუფში.

მეკარეები: ალექსანდრ შოვკოვსკი (დინამო), ვიაჩესლავ კერნოზენკო (დნიპრო);

მცველები: ანდრეი ნესმაჩნი, სერგეი ფიოდოროვი (ორივე დინამო), ალექსანდრ რადჩენკო, ვლადიმერ ეზერსკი, ანდრეი რუსოლი (სამივე დნიპრო), ვიაჩესლავ სვიდერსკი (სატურნი, რუსეთი);

ნახევარმცველები: რუსლან ბიდნენკო, სერგეი ნაზარენკო, ალექსანდრ რიკუნი, რუსლან როტანი, ოლეგ შელაევი (ყველა დნიპრო), ანდრეი გუსინი (კრილია, რუსეთი), ანატოლი ტიმოშჩუკი (შახტარი), მაქსიმ ბელეცკი (მოსკვა, რუსეთი), ოლეგ გუსევი (დინამო);

თავდამსხმელები: ანდრეი შევჩენკო (მილანი, იტალია), ანდრეი ვორობეი, ალექსეი ბელიკი (ორივე შახტარი), ალექსანდრ კოსირინი (ჩერნომორეცი), ანდრეი ვორონინი (ლევერკუზენი, გერმანია).

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს XVI ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა
მეორე ეტაპი

35 ტური მიმოხილვა

ერთი დარჩა და რა დარჩა
ჩაქირული კოლორიტი და ოქროს ფავორიტი



ყველაფერს აქვს დასასრული და დასრულდა ფოთის „კოლხეთის“ 16-სეზონიანი უმაღლესლიგელობის ხანაც. გუნდი, რომელმაც 1990 წლის 30 მარტს საქართველოს პირველი ჩემპიონატის პირველ მატჩში გადავსებულ ეროვნულ სტადიონზე სასწაული მოახდინა, 15 წლის განმავლობაში უმეტესად ლიდერთა მარაქაში ტრიალებდა, რამდენჯერმე ევროსარბიელზეც გაიჭრა და მართალია, იქ ვარსკვლავები არ მოუწყვეტია, მაგრამ ერთ რამეში შევთანხმდეთ: „კოლხეთის“ სახით საქართველოს ჩემპიონატს კოლორიტი მოაკლდა. კიდევ იმაში შევთანხმდეთ, რომ კოლხები გუშინწინ კი არა, მაშინ გავარდნენ, როცა ფოთის პორტისგან დაფინანსება შეუწყდათ.

შედეგად ფოთელთა ჩამოლაბორანტების შემდეგ სამი კლუბიღა დარჩა, რომლებსაც პირველი ჩემპიონატიდან მოყოლებული უმაღლესი ლიგიდან ფეხი არ მოუცვლიათ — „დინამო“, „ტორპედო“ და „ბათუმი“. ორიოდ კვირის წინ აჭარელებიც სულს ღაფავდნენ, მაგრამ მათ დროულად უწამლეს.

ეს ამბები ცხრილის ფსკერზე მოხდა, ზედაპირზე კი 30 მაისს ამოტივტივდება ყველაფერი: „დინამომ“ გორში უოფლოდ მოგებით ორქულიანი ჰანდიკაპი დაიტოვა „ტორპედოსთან“ და თუ შინ „ბათუმს“ მოუგო, მეთორმეტედ იჩემპიონებს.

ბათუმელებმა თავიანთ თავსაც რომ ავჯობონ, „დინამოს“ ვერმოგება მაინც ზღაპარში წერია. ასეა თუ ისე, „ტორპედომ“ და „თბილისმაც“ უმცირესი შანსები დაიტოვეს: ქუთათურებმა დაუძლურებულ „ვიტ ჯორჯიას“ მეორე ტაიმში შემოუტრიალეს თამაში, თბილისელებმა კი ერთბაშად 4 გოლი „უძღვნეს“ თანაქალაქელ „ლოკომოტივს“, რომელიც ამ თამაშამდე 20-მატჩიანი წაუგებელი სერიით ამაყობდა. შესაბამისად შეწყდა რკინიგზელთა მეკარე ზვიად სტურუას მშრალი სერიაც — ეროვნული ნაკრებისგან რატომღაც კარჩარაზულმა სტურუამ 923 წუთს უწია და ვეჭვობთ, მის რეკორდს ახლო წლებში ვინმე დაემუქროს. სტურუას „ლოკომოტივზე“ კიდევ იმას ვიტყვით, რომ მეოთხე ადგილზე ჩაბეტონების მიუხედავად, ევროპის ნახვის შანსი მაინც დარჩენია — საუეფასთასო გზა 26 მაისს დავით ყიფიანის თასის ფინალში „ზესტაფონის“ დამარცხებაზე გადის.

ბოლო ტურში ქუთაისში დიდი ამბავი იქნება: „ტორპედო“ ოცნებებში არ დაფრინავს და ჩემპიონობაზე მეტად მეორე ადგილის შენარჩუნებაზე იფიქრებს, საამისოდ კი „თბილისთან“ ფრეც ხელს აძლევს.

ოთარ გაბელიას და ლუის ცაკარიასს თავიანთი აქვთ გასაყოფი და მაგარი თამაში უნდა გამოდგეს. ასე მოიტანა ნისლით დაბურულმა ცხრილმა, ჩვენ კი 30 მაისამდე გემშვიდობებით...

ილია ნანოგაშვილი

სიმბოლური ნაკრები

- ლევან ხომერიკი (ბათუმი)
- ბექა გოცირიძე (ზესტაფონი)
- ზაზა სახოკია (ვიტ ჯორჯია)
- რამონ დე ანაია (ლოკომოტივი)
- დავით დათვაძე (სიონი)
- გოგი ფიფია (თბილისი)
- ილია კანდელაკი (დინამო)
- მიხეილ მესხი (თბილისი)
- ბესიკ მიქიაშვილი (თბილისი)
- გიორგი მემარნიშვილი (ტორპედო)
- სოსო გრიშიკაშვილი (თბილისი)

დინამო	35	22	6	7	70:27	72
ტორპედო	35	20	10	5	56:28	70
თბილისი	35	21	6	8	60:37	69
ლოკომოტივი	35	16	14	5	41:23	62
ზესტაფონი	35	16	5	14	37:45	53
ვიტ ჯორჯია	35	12	9	14	51:40	45
ბათუმი	35	9	12	14	35:30	39
სიონი	35	11	4	20	32:57	37
კოლხეთი	35	9	5	21	32:59	32
დილა	35	2	3	30	20:88	9

მომდევნო ტური

30 მაისი, ოთხშაბათი

ტორპედო – თბილისი
ლოკომოტივი – დილა
დინამო – ბათუმი
კოლხეთი – სიონი
ზესტაფონი – ვიტ ჯორჯია

სტადიონი	მატჩი	მინდვრის მდგომარეობა	ორგანიზაცია	დასწრება	საშუალო ბალი
„ოლიმპი“. თბილისი	თბილისი 4:1 ლოკომოტივი	9,5	7,5	6,0	7,6
„თამაზ სტეფანია“. ბოლნისი	სიონი 2:1 ზესტაფონი	8,0	7,0	3,5	6,1
„არმაზი“. მცხეთა	ვიტ ჯორჯია 1: 2 ტორპედო	7,5	6,5	3,5	5,8
„თენგიზ ბურჯანაძე“. გორი	დილა 0:3 დინამო	6,5	6,0	3,0	5,1
„დინამო“. ბათუმი	ბათუმი 3:0 კოლხეთი	6,5	6,0	3,0	5,1

ბომბარდირები

26-ჭელქაძე	დინამო
23-ჭეგრელაძე	ტორპედო
13-ფიფია	თბილისი
12-ოდიკაძე	თბილისი/დინამო
ბობოხიძე	ლოკომოტივი
11-მარცვალაძე	ვიტ ჯორჯია
10-ზირაქიშვილი	ზესტაფონი
9-დვალი	დინამო
იაშვილი	თბილისი

თქვენი ინტერვიუ

ალენ ჟირესთან

თქვენი კითხვების მორიგი ადრესატი საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალენ ჟირესი გახლავთ. მუსიე ჟირესი, მოგეხსენებათ, ფრანგია, მაშასადამე, ევროპელი და, ალბათ, „ჩამჭრელ“ და „მკვლელ“ კითხვებს მისთვის არ დაინანებთ. ჟირესი და „სარბიელი“ თქვენს კითხვებს 25 მაისამდე დაელოდებიან, ხოლო „თქვენ ინტერვიუს“ ჟირესთან 1 ივნისამდე იხილავთ.



მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

ამ უქმეებმა სამი ქართველი აჩემპიონა — შოთა არველაძემ, ზურაბ ხიზანიშვილმა და ამირან მუჯირმა შოტლანდიაში და ბულგარეთში იპრიველეს. შეგახსენებთ, რომ ამ სამეულამდე წლეულს ცხრა ქართველი შესწვდა უცხო ქვეყნის ოქროს — მალხაზ ასათიანი და მიხეილ აშვეთია („ლოკომოტივი", რუსეთი), თემურ ქეცბაია, გიორგი ქინქლაძე, გიორგი გაბიდაური, კლიმენტი წიტაიშვილი და გოჩა ხოჯავა („ანართოსისი", კვიპროსი), ვაჟა თარხნიშვილი და რომან გოგინაშვილი („შერიფი", მოლდოვა)

შოთა არველაძე და „რეინჯერსი" ზღაპარში გაჩემპიონდნენ

იქაც სამი

იაშვილმა ტრანსფერს გოლი დაურთო

გერმანულ ბუნდესლიგაში „შალკემ" მეორე ადგილი და ჩემპიონთა ლიგის საგზური გაინაღდა. ლევან კობიაშვილმა საგოლე პასით გამოიჩინა თავი, გელზენკირხენელ მეტოქე „ფრაიბურგში" კი *ალექსანდრე იაშვილი* გამოირჩა — სატრანსფეროდ შემზადებულმა „იაშკამ" მე-11 წუთზე გაათანაბრა ანგარიში და მისი მსურველი კლუბები ერთხელაც დაარწმუნა, ჩემი შეძენა გიღირთო.

მოკლედ, მატჩი „შალკემ" 3:2 მოიგო და ახლა სეზონის ბოლო, მთავარი ჯახი დარჩა — 28 მაისს გერმანიის თასის ფინალში მიუნხენის „ბაიერნს" ხვდება.

მეორე ბუნდესლიგამ კი ორი ქართველი დაკარგა. დავით სირაძის „ტრირმა" სტუმრად „ზაარბრიუკენი" ვერ დაამარცხა (1:1), მისმა კონკურენტმა „ალენმა" კი „მიუნხენ 1860"-ს 4:3 სძლია და ჩვენებურიც ლიგიდან გავარდა. აი, *ხვიჩა შუბითიძის* საქმე კი სხვაგვარადაა — მართალია, აუე მე-6 ადგილზე გავიდა, მაგრამ ქართველი თავდამსხმელი ამ კლუბში ამიერიდან აღარ ითამაშებს — შუბითიძე რეგიონალლიგელ „ზანკტ პაულში" გადავიდა.

და ვინ გვასახელა რუსეთში? რა თქმა უნდა, *მალხაზ ასათიანმა.* რუსმა ჟურნალისტებმა ასათიანი „ტორპედო" — „ლოკომოტივის" (0:1) საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს და ხედიზედ მეოთხე ტურია, სიმბოლურ ნაკრებში შეჰყავთ. მალხაზმა, როგორც ყოველთვის, დაცვაში ითამაშა.

სეზონის მეხუთე გოლი გაიტანა უკრაინაში გიორგი დემეტრაძემ. დონეცკის „მეტალურგი" თანაქალაქელ „შახტართან" 1:3 დამარცხდა. ქართველმა თავდამსხმელმა კი გოლამდე ხუთი წუთით ადრე პენალტი გააცუდა. „მეტალურგი" ახლა მესამე ადგილზეა სატურნირო ცხრილში და კვლავაც უეფას თასის საგზურის მთავარი კანდიდატია.

ლატვიაში ისევ ლიეპაიას „მეტალურგსი" ქუხს. ლევან მიქაძის გუნდი ქვას ქვაზე არ ტოვებს და ამჯერად „რიგა" გაასწორა მიწასთან — 5:1. ქართველებით სავსე „სკონტომ" კი *ალექსანდრე რეხვიაშვილის* და *გოგა მოდებაძის* „ვენტსპილსი" 1:0 დაამარცხა, თუმც სკონტოელთა შორის ოდენ ორი ქართველი გამოჩნდა — *ზაალ ელიავა* და *ზურაბ მენთეშაშვილი.*

ჰოლანდიის ჩემპიონატი დამთავრდა და *გოგა გახოკიძის* „ტვენტე" მეექვსე ადგილზე გავიდა, რაც ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად მებრძოლი გუნდისთვის საკმაოდ კარგი შედეგი უნდა იყოს — „ტვენტეს" ჰოლანდიური ფეხბურთის მაჩანჩალად არ მივიჩნევთ, მაგრამ ფაქტია, პირველი წრის მერე ეს გუნდი გავარდნის მთავარი კანდიდატი იყო.

კახა შალამბერიძე



ზურაბ ხიზანიშვილი

ამირან მუჯირი

სახელი გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა	თ	გ	ა
იტალია. სერია A								
კახა კალაძე	მილანი	შ	პალერმო 3:3	0	განაცხადში არ იყო	18	2	2
გერმანია. ბუნდესლიგა								
ლევან კობიაშვილი	შალკე	ს	ფრაიბურგი 3:2	90	საგოლე პასი	33	3	2
ალექსანდრე იაშვილი	ფრაიბურგი	შ	შალკე 2:3	90	1 გოლი	30	4	18
ლევან ცქიტიშვილი	ფრაიბურგი	შ	შალკე 2:3	0		20	1	18
ოთარ ხიზანეიშვილი	ფრაიბურგი	შ	შალკე 2:3	0	ტრავმირებულია	8	0	18
გერმანია. მეორე ბუნდესლიგა								
ხვიჩა შუბითიძე	აუე	ს	ობერჰაუზენი 1:1	90		18	2	6
დავით სირაძე	ტრირი	ს	ზაარბრიუკენი 1:1	14	შეცვლაზე ითამაშა	19	1	15
შოტლანდია. პრემიერლიგა								
შოთა არველაძე	რეინჯერსი	ს	ჰიბერნიანი 1:0	90		23	6	1
ზურაბ ხიზანიშვილი	რეინჯერსი	ს	ჰიბერნიანი 1:0	0	განაცხადში არ იყო	15	0	1
ჰოლანდია. პირველი დივიზიონი								
გოგა გახოკიძე	ტვენტე	ს	ბრედა 1:1	0	ტრავმირებულია	2	0	6
რუსეთი. პრემიერლიგა								
მალხაზ ასათიანი	ლოკომოტივი	ს	ტორპედო 1:0	90		8	0	2
მიხეილ აშვეთია	ლოკომოტივი	ს	ტორპედო 1:0	0	განაცხადში არ იყო	2	0	2
რომან ახალკაცი	ლოკომოტივი	ს	ტორპედო 1:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	2
მათე ღვინინაძე	ლოკომოტივი	ს	ტორპედო 1:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	2
გიორგი ჭელიძე	ლოკომოტივი	ს	ტორპედო 1:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	2
ვიტალი დარასელია	ალანია	ს	ამკარი 0:0	84	შეცვალეს	7	0	14
ლევან გვაზავა	ალანია	ს	ამკარი 0:0	6	შეცვლაზე ითამაშა	4	0	14
ლადო ბურდული	ალანია	ს	ამკარი 0:0	0	სათადარიგო	5	0	14
დავით კვირკველია	ალანია	ს	ამკარი 0:0	90		8	0	14
ჯაბა კანკავა	ალანია	ს	ამკარი 0:0	41	შეცვალეს	4	0	14
გიორგი შაშიაშვილი	ალანია	ს	ამკარი 0:0	18	შეცვლაზე ითამაშა	3	0	14
ლაშა სალუქვაძე	რუბინი	შ	ტერეკი 1:1	90		6	0	8
რუსეთი. პირველი დივიზიონი								
გიორგი ლომაია	ხიმკი	ს	ანჟი 0:0	90		3	0	6
გოგიტა გოგუა	ხიმკი	ს	ანჟი 0:0	0		4	0	6
რევაზ გოცირიძე	კამაზი	ს	ყუბანი 1:0	0		9	0	2
კახა მჟავანაძე	ანჟი	შ	ხიმკი 0:0	78	შეცვალეს	8	0	9
მამუკა ლომიძე	ჩკალოვეცი	ს	სოკოლი 0:1	0		4	0	20
ლევან ბერიშვილი	მ. კუზბასი	ს	გაზპრომი 0:1	90	გააფრთხილეს	10	0	22
პაატა ჯინჭარაძე	ბრიანსკი	შ	დინამო 0:1	90	გააფრთხილეს	12	2	17
დავით ხმელიძე	ჩელიაბინსკი	შ	ფაკელი 3:2	0	ტრავმირებულია	7	0	8
შვეიცარია. სუპერლიგა								
ლადო ახალაია	ციურიხი	ს	ქსამაქსი 2:1	0	განაცხადში არ იყო	5	0	5
შვეიცარია. ჩელენჯლიგა								
მიხეილ ყაველაშვილი	სიონი	შ	ვინტერთური 1:0	0	ტრავმირებულია	0	0	3
ავსტრია. მაქსბუნდესლიგა								
დავით მუჯირი	შტურმი	ს	აუსტრია 2:2	0	ტრავმირებულია	21	4	8
უკრაინა. უმაღლესი ლიგა								
გიორგი დემეტრაძე	მ. დონეცკი	შ	შახტარი 1:3	90	1 გოლი, გააფრთხილეს	24	5	3
ლაშა ჯაკობია	მეტალისტი	ს	ბორისფენი 1:0	90		20	2	10
ვასილ გიგიაძე	ტავრია	ს	არსენალი 2:2	90		26	9	8
ალეკო ამისულაშვილი	დნიპრო	შ	ზაკარპატიე 0:3	0		0	0	4
გრიგოლ ჭანტურია	ზაკარპატიე	ს	დნიპრო 3:0	0		0	0	14
ირაკლი მოდებაძე	მ. ზაპოროჟიე	შ	ობოლონი 1:0	0	ტრავმირებულია	7	3	9
ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა								
ამირან მუჯირი	ცსკა	შ	პირინი 2:1	35	შეცვლაზე ითამაშა	26	5	1
ვლადიმერ კაკაშვილი	ჩერნო მორე	შ	სლავია 1:1	0		12	0	7
კოტე დარსანია	ჩერნო მორე	შ	სლავია 1:1	45	შეცვალეს	12	3	7
პოლონეთი. პირველი ლიგა								
მამია ჯიქია	პლოცკი	ს	ზაგლებიე 1:0	75	შეცვალეს	19	1	5
ლატვია. უმაღლესი ლიგა								
ლევან კორღალიძე	სკონტო	შ	ვენტსპილსი 1:0	0		8	0	2
ზურაბ მენთეშაშვილი	სკონტო	შ	ვენტსპილსი 1:0	90		7	0	2
ზაალ ელიავა	სკონტო	შ	ვენტსპილსი 1:0	90		8	0	2
დავით ჩალაძე	სკონტო	შ	ვენტსპილსი 1:0	0		6	0	2
ლევან მიქაძე	მეტალურგსი	შ	რიგა 5:1	90	გააფრთხილეს	8	0	1
ალეკო რეხვიაშვილი	ვენტსპილსი	ს	სკონტო 0:1	90	გააფრთხილეს	7	0	3
გიორგი მოდებაძე	ვენტსპილსი	ს	სკონტო 0:1	61	გააფრთხილეს, შეცვალეს	7	1	3
თამაზ პერტია	დინაბურგი	შ	ოლიმპი 3:0	25	შეცვალეს	8	0	4
ყაზახეთი. თასის მერვედფინალი								
გიორგი გოგიაშვილი	ვოსტოკი	ს	ოკუეტპესი 0:1	90		8	0	14
ზურაბ არჩვაძე	ეკიბასტუზეცი	ს	ესილ-ბოგატირი 1:2	45	შეცვალეს	7	0	10

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარმა უკან იხევს

მილანი ჯილარდინოს ფულს აგროვებს

„პარმას“ სპორტულმა დირექტორმა ლუკა ბარალდიმ აღნიშნა, რომ კლუბი მზად არის, ალბერტო ჯილარდინოს ფასს დაუწიოს. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ ბარალდიმ გუნდის ვარსკვლავი 35 მილიონ ევროდ შეაფასა, რითაც უკმაყოფილონი დარჩნენ ჯილარდინოს მსურველები და თავად ფეხბურთელსაც ამხელა თანხა ეხამუშა — ვაიდა, არავინ მიყიდოსო.

„ბუნებრივია, კლუბები ცდილობენ მათთვის სასურველი ფეხბურთელი რაც შეიძლება, ხელმისაწვდომ ფასში იყიდონ და ფინანსებს გაუფრთხილდნენ. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ ჩვენ საკუთარი მიზნები გვაქვს და გვსურს, მაქსიმალური მოგება მივიღოთ. ასე თუ ისე, ყველაფერი სეზონის მერე გაირკვევა, როდესაც სერიოზულ წინადადებებს მივიღებთ და განვიხილავთ“ — განაცხადა ლუკა ბარალდიმ.

როგორც იცით, ალბერტო ჯილარდინოს შეძენა ერთბაშად ოთხ გრანდს სურს — „მილანს“, „იუვენტუსს“, „ჩელსისა“ და „რეალს“. ფავორიტად კი კვლავ „როსონერი“ ითვლება, მაგრამ გუნდის უფროსობამ უკვე განაცხადა, რომ 35 მილიონის გადახდას არ აპირებს. პარმელთა დირექტორი ამასაც გამოეხმაურა.

ლუკა ბარალდი: „მილანის“ მმართველმა ადრიანო გალიანიმ აღნიშნა, რომ 35 მილიონს არ გადაიხდის. იგი თავისი საქმის სპეციალისტია და პატივისცემას იმსახურებს. ვაფასებ, რომ სათქმელს პირდაპირ ამბობს, მაგრამ ჩვენ ფასი არ დაგვიწესებია. უბრალოდ, ჩემი აზრი გამოვთქვი და მიახლოებითი თანხა დავასახელე. ახლაც ასე ვფიქრობ — წესით, ჯილარდინო „მილანზე“ ნაკლები არ უნდა ღირდეს“.

გუშინ საღამოს კი ასეთი ინფორმაცია გავრცელდა, რომ „ბილანი“ ჯილარდინოს შესაძენად „ოთხის“ შეგროვებას ფიქრობს. ამასთან ერთად, მზადაა ერთბაშად ოთხ ფეხბურთელს შეელიოს — „შავ-წითლებს“ სეზონის ბოლოს დატოვებენ მეკარე კრისტიან აბიატი, ხორვატი მცველი დარიო შიმიჩი, ნახევარმცველი კრისტიან ბროკი და დანიელი თავდამსხმელი იონ დალ ტომასონი.

გუშინდელმა იტალიურმა პრესამ ოთხეულის საგარაუდო ფასი და კლუბების ვინაობაც გააჟღერა, საიდანაც ის ირკვევა, რომ აბიატის სანაცვლოდ ლონდონის „არსენალი“ 10 მილიონი ევროს გადახდაზეა ყაბულს, ლივერპულის „ევერტონს“ შიმიჩი 5 მილიონად უნდა, ფრანგულ „ლიონს“ კი ტომასონი ათად. ბროკის ფასი და „ლაციოს“ სურვილი ჯერჯერობით უცნობია.

ერთი სიტყვით, 25 მილიონი მოჭიჩებულია და დარჩენი ოთხის გაყიდვა გალიანისთვის პრობლემა არ უნდა იყოს, ასკენან ბოლოს ჟურნალისტებს.

გიორგი კაკაბაძე

ესიენმა დესაი გადარია

საფრანგეთი ლიონელებმა გადაინაწილეს

მიკაელ ესიენი საფრანგეთში დაფასებული კაცია

საფრანგეთის პროფესიონალ ფეხბურთელთა კავშირმა წლის საუკეთესო მოთამაშედ „ლიონის“ ნახევარმცველი მიკაელ ესიენი დაასახელა. მან თანაგუნდელი ჟუნინიო პერნამბუკანო, „რენის“ ფორვარდი ალექსანდრ ფრეი და ოსერელი ბონავენტურე კალუ ჩამოიტოვა. შეგახსენებათ, რომ შარშან ეს ჯილდო „მარსელის“ მეგოლე დიდე დროგბას ერგო, რომელიც ამჟამად ლონდონის „ჩელსიში“ თამაშობს.

„აღიარებას ნამდვილად არ ველოდი — ხარობდა განელი — ძალიან ბედნიერი ვარ, რადგან ბრწყინვალე სეზონის შემდეგ წილად ასეთი პატივი მხვდა. ვფიქრობ, ჯილდოს ჟუნინიო უფრო იმსახურებდა და საწყენია, რომ ორივე არ აგვირჩიეს. საფრანგეთში ჩემი ჩამოსვლის დღიდან, წლის საუკეთესოდ ყოველთვის თავდამსხმელებს ასახელებდნენ და მით უფრო სასიხარულოა საყრდენი ნახევარმცველის აღიარება“.

დაჯილდოების ცერემონიაზე მიკაელ ესიენი თვისტომ მარსელ დესაის პირისპირ პირველად შეხვდა. პენსიაზე გასული დესაი 22 წლის განელით აღფრთოვანებული იყო: „მილანში“ გატარებული ექვსი სეზონის განმავლობაში, ესიენზე კარგად არასდროს მითამაშია. ერთი მატჩის განმავლობაში ათასობით კილომეტრს ფარავს. ეს დაუჯერებელია!“

„ლიონის“ ნახევარმცველზე ამბობენ, მარსელ დესაი ლონდონის „ჩელსიში“ გადასვლაზე ეჭუკჭუკებაო, მაგრამ თვითონ ესიენი უარყოფს: „ვერაფერს ვიტყვი, ჯერჯერობით არაფერი ვიცი“.

ახლა სხვა ლაურეატებზეც ვთქვათ. წლის საუკეთესო მწვრთნელად პოლ ლე გუენი დაასახელეს, მეკარედ — გრეგორი კუპე, საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად — ნანტელი ჟერემი ტულალანი.

ხოლო წლის სიმბოლური ნაკრები ასეთია: *კუპე (ლიონი) — ბეიე (მარსელი), კრისი (ლიონი), გივე (მონაკო), აბიდალი (ლიონი) — კალუ (ოსერი), ჟუნინიო, ესიენი, მალუდა (სამივე ლიონი) — ვილტორდი (ლიონი), ფრეი (რენი).*

ვაჟა ხუციშვილი

ასიერ დელ ორნო ზაფხულში საგარაუდოდ, „ჩელსიში“ გადავა

ესპანური და ბრიტანული პრესის ცნობით, „ჩელსისა“ და „ბილბაოს“ შორის ასიერ დელ ორნოს ტრანსფერზე მოლაპარაკება ამ კვირაში დასრულდება

ასიერი ასიანია

დელ ორნო ლონდონში მიდის

დაახლოებით ანალოგიური შინაარსის განცხადება გააკეთა ბასკური კლუბის პრეზიდენტმა ფერნანდო ლამიკიტმაც — ყველაფერი უახლოეს დღეებში უნდა გადაწყდესო. ამბობენ, რომ მხარეებმა უკვე თითქმის ყველაფერი შეათანხმეს და 24 წლის მცველიც მომავალი სეზონიდან ლონდონელთა მაისურას მოირგებს.

გავრცელებული ინფორმაციით, დელ ორნოს ტრანსფერში „ბილბაო“ 14 მილიონ ევროს მიიღებს, სხვა დეტალები კი ჯერჯერობით უცნობია. ვთქვათ ისიც, რომ თუ „ჩელსი“ საბოლოოდ შეძლებს მიზნის მიღწევას, ასიერ დელ ორნო ლონდონელებს ივნისის შუა რიცხვებში დაემატება, რადგანაც 9 ივნისამდე იგი ეროვნულ ნაკრებშია გამოძახებული.

ბოლოს კი შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ თავად ფეხბურთელმა განაცხადა — „ჩელსი“ ისეთ წინადადებას ამზადებს, მასზე უარის თქმა მეც გამიჭირდება და „ბილბაოსაცო“.

გიორგი კაკაბაძე

გულიტი დირექტორებმა დაინუნეს

გუშინ რუუდ გულიტი „ფეიენოორდიდან“ გაუშვეს

AFP როტერდამიდან

რუუდ გულიტმა „ფეიენოორდის“ მწვრთნელის სკამი გაათავისუფლა. როტერდამულმა გუნდმა ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩში „დენ ჰააგი“ 6:3 დაამარცხა და მეოთხე ადგილზე გავიდა. „ფეიენოორდი“ ჩემპიონ პსვ-ს 25 ქულით ჩამორჩა. კლუბის პატრონი გუშინ გულიტს და მის თანაშემწე ჟელკო პეტროვიჩს შეხვდა, სადაც გადაწყდა, რომ ამ წყვილმა გუნდი უნდა დატოვოს, რადგან იმედი ვერ გაამართლეს.

„ყოველთვის არასასიამოვნოა, როცა მწვრთნელი მიდის, მაგრამ სხვა გზა არ გვქონდა“ — განაცხადა „ფეიენოორდის“ თავმჯდომარე იორიენ ვან დენ ჰერიკმა. როტერდამული რადიოს ცნობით, რუუდ გულიტს კლუბის დირექტორატში ძალიან ცოტა მხარდამჭერი ჰყავდა და ამიტომაც გაუშვეს.

მოგეხსენებათ, „ჩელსისა“ და „ნიუკასლის“ ყოფილმა მწვრთნელმა „ფეიენოორდი“ შარშან ზაფხულში ჩაიბარა. მისი თავკაცობით გუნდი უეფას თასის მერვედფინალში გავიდა, სადაც „სპორტინგთან“ დამარცხდა. „ფეიენოორდმა“ ჩემპიონატი კარგად დაიწყო, მაგრამ მოგვიანებით, ცუდი დაცვის გამო თამაში აეწეწა. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ როტერდამელებმა ჩემპიონატში ყველაზე მეტი გოლი გაიტანეს, რაც მათი შეტევის სიძლიერეზე მეტყველებს.

რუუდ გულიტი მთელი წლის განმავლობაში წუწუნებდა, მაღალი კლასის ფეხბურთელები არ მყავსო და ამ საკითხზე გუშინ დირექტორატის კრებაზეც ისაუბრა, გუნდისთვის ახალი მოთამაშეები იყიდეთო. მისი თხოვნა არ შეისმინეს და კარისკენ მიუთითეს.

შეგახსენებთ, რომ რუუდ გულიტმა 1995-ში, „ჩელსიში“ ინგლისის ასოციაციის თასი მოიგო, 1998 წელს კი იგი ჯანლუკა ვიალიმ შეცვალა. ამის შემდეგ „ნიუკასლი“ ჩაიბარა, მაგრამ 1999-ის აგვისტოში მოხსნეს. 2003 წლის აგვისტოდან ჰოლანდიის 19-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელი იყო, 2004-ში კი „ფეიენოორდის“ თავკაცი გახდა.

ვაჟა ხუციშვილი

AFP პორტუგალიიდან

ლისაბონის „ბენფიკას“ ფეხბურთელთა სიხარული უზომოა, სიმაო საბროსა (შუაში) და ძმანი მისნი პორტუგალიის ჩემპიონები გახდნენ

პორტუგალია

სუპერლიგა. XXXIV ტური

ბეირა მარი 2:2 გიმარაეში

0:1 რომეუ (8), 0:2 ელპიდიუ სილვა (11), 1:2 რ. ლიმა (79), 2:2 ტინინიო (85)

ბელენენსეში 0:0 სეტუბალი

ეშტორილი 0:1 მარიტიმუ

0:1 ფილიპე (88)

პენაფიელი 1:3 ჟილ ვისენტე

1:0 ვესლი (7), 1:1 კარნეირუ (37), 1:2 ნანდინიო (52), 1:3 გრეგორი (83)

ლეირია 0:3 რიუ ავე

0:1 ევანდრო (7), 0:2 ჟუნასი (35), 0:3 პაულუ სეზარი (70)

ბოავიშტა 1:1 बेनफიკა

0:1 სიმაო (38პ), 1:1 ედერი (42)

პორტუ 1:1 აკადემიკა

1:0 იბსონი (60), 1:1 ჟოეანუ (89)

მორეირენსე 2:1 ბრაგა

0:1 ჟოაუ ტომასი (6), 1:1 ერივერტონი (83), 2:1 ნეი (84)

სპორტინგი 2:4 ნასიონალი

0:1 ა. პინტუ (6), 0:2 ალეშანდრე (14), 0:3 ა. პინტუ (24), 1:3 ბუალოსი (43სკ.), 2:3 კუშტუდიუ (54), 2:4 ბრუნო (89)

საბოლოო ცხრილი

ბენფიკა	34	19	8	7	51:31	65
პორტუ	34	17	11	6	39:26	62
სპორტინგი	34	18	7	9	66:36	61
ბრაგა	34	16	10	8	45:28	58
გიმარაეში	34	15	9	10	38:29	54
ბოავიშტა	34	13	11	10	39:43	50
მარიტიმუ	34	12	13	9	39:32	49
რიუ ავე	34	10	17	7	35:35	47
ბელენენსეში	34	13	7	14	38:34	46
სეტუბალი	34	11	11	12	46:45	44
პენაფიელი	34	13	4	17	39:53	43
ნასიონალი	34	12	5	17	46:48	41
ჟილ ვისენტე	34	11	7	16	34:40	40
ლეირია	34	8	14	12	29:36	38
აკადემიკა	34	9	11	14	29:41	38
მორეირენსე	34	7	13	14	30:43	34
ეშტორილი	34	8	6	20	38:55	30
ბეირა მარი	34	6	12	16	30:56	30

II დივიზიონი. XXXIV ტური

ფერეირა — ფეირენსე 1:1; სანტა კლარა — ნავალი 4:0; ავეში — ამადორა 2:0; ოლიალენსე — მაია 2:0; გონდომარი — ლეიშოეში 0:0; ესპინიუ — მარკუ 1:5; ალვერკა — შავეში 1:0; ვარზიმი — ფელგეირაში 2:2; ოვარენსე — პორტიმონენსე 1:1

საბოლოო ცხრილი

ფერეირა	34	19	10	5	59:43	67
ამადორა	34	17	9	8	47:30	60
ნავალი	34	16	11	7	53:32	59
მაია	34	14	10	10	46:34	52
ფეირენსე	34	15	7	12	46:47	52
მარკუ	34	13	12	9	51:43	51
ლეიშოეში	34	14	8	12	40:33	50
ავეში	34	14	6	14	43:34	48
ოლიალენსე	34	11	12	11	32:30	45
ვარზიმი	34	11	10	13	37:42	43
ოვაირენსე	34	11	8	15	40:51	41
გონდომარი	34	11	7	16	36:42	40
ფელგეირაში	34	10	10	14	35:44	40
პორტიმონენსე	34	10	9	15	40:49	39
სანტა კლარა	34	11	6	17	38:49	39
ალვერკა	34	11	6	17	26:38	39
შავეში	34	9	10	15	24:38	37
ესპინიუ	34	9	9	16	36:50	36

ჰოლანდია

I დივიზიონი. XXIV ტური

აიაქსი 2:1 გრონინგენი

0:1 ნევლანდი (44), 1:1 ვან დერ ვაარტი (64), 2:1 დე რიდერი (77)

ტილბურგი 3:0 ვალვაიკი

1:0 სესაი (16), 2:0 ბობსონი (23), 3:0 კალუვე (50)

ალკმაარი 1:3 როზენდალი

0:1 მოლენაარი (36), 0:2 დე გროოტი (39), 0:3 ჰაკანსონი (82), 1:3 ჰიუსგენსი (89)

გრაააფსხაპი 1:2 ვიტესი

1:0 ლოვალი (33), 1:1 ბენსონი (82), 1:2 მ. ამოა (90)

დენ ბოსხი 0:3 უტრეხტი

0:1 ვან დენ ბერგი (9), 0:2 ვერაეფი (45სკ.), 0:3 ვან დენ ბერგი (90)

ფეიენოორდი 6:3 დენ ჰაგი

1:0 გოორი (14), 2:0 ონო (23), 3:0 ს. კალუ (38), 4:0 კუიტი (46), 4:1 პოლაკი (52), 4:2 ვან დერ გუნი (55), 4:3 დენ ოუდენი (62), 5:3, 6:3 კუიტი (78, 86)

ბრედა 1:1 ტვენტე

0:1 ნკუფო (55), 1:1 კორნელისე (90)

როდა 0:0 პსვ ეინდჰოვენი

ჰერენვენი 2:1 ნაიმეგენი

0:1 ტინინიო (22), 1:1 ჰუნტელაარი (61), 2:1 ბრიუერი (82)

საბოლოო ცხრილი

პსვ	34	27	6	1	89:18	87
აიაქსი	34	24	5	5	74:33	77
ალკმაარი	34	19	7	8	71:41	64
ფეიენოორდი	34	19	5	10	90:51	62
ჰერენვენი	34	18	6	10	64:52	60
ტვენტე	34	15	9	10	48:38	54
ვიტესი	34	16	6	12	53:49	54
როდა	34	13	8	13	60:55	47
ვალვაიკი	34	13	8	13	44:51	47
ტილბურგი	34	13	6	15	44:56	45
უტრეხტი	34	12	8	14	40:43	44
გრონინგენი	34	11	7	16	50:58	40
ნაიმეგენი	34	9	10	15	41:47	37
დენ ჰაგი	34	10	6	18	44:59	36
ბრედა	34	9	8	17	43:67	35
როზენდალი	34	10	2	22	38:77	32
გრაააფსხაპი	34	4	7	23	31:78	19
დენ ბოსხი	34	5	4	25	23:74	19

II დივიზიონი. XXXVI ტური

იგლსი — სპარტა 2:5; ჰერაკლესი — ვეენდამი 2:2; აპელდორნი — დორდრეხტი 2:3; ემენი — მაასტრიხტი 0:2; ექსელსიორი — ზვოლე 3:5; ვოლენდამი — ოსი 3:0; სიტარდი — ტელსტარი 1:3; ჰაარლემი — კამბური 2:2; ჰელმონდი — ვენლო 1:0

საბოლოო ცხრილი

ჰერაკლესი	36	23	6	7	67:34	75
სპარტა	36	21	11	4	93:39	74
ვენლო	36	18	8	10	56:36	62
ზვოლე	36	17	10	9	66:50	61
ვოლენდამი	36	18	7	11	52:38	61
ჰელმონდი	36	16	9	11	61:44	57
ტელსტარი	36	15	11	10	58:46	56
დორდრეხტი	36	15	8	13	46:51	53
კამბური	36	13	8	15	44:54	47
აპელდორნი	36	15	1	20	55:60	46
ვეენდამი	36	11	12	13	47:56	45
ექსელსიორი	36	12	8	16	56:59	44
ჰაარლემი	36	11	9	16	47:56	42
მაასტრიხტი	36	9	12	15	40:46	39
ეინდჰოვენი	36	10	9	17	60:80	39
ოსი	36	10	9	17	41:66	39
იგლსი	36	9	11	16	40:60	38
სიტარდი	36	8	10	18	46:67	34
ემენი	36	7	9	20	38:71	30

ბელგია

იუპილერლიგა. XXXIV ტური

გენტი 1:0 ვესტერლო

1:0 უბარი (13)

ანდერლეხტი 2:1 მონსი

1:0 დინდანე (19), 1:1 მილა (58), 2:1 იესტროვიჩი (87)

სერკლ ბრიუგე 1:3 გენკი

1:0 ბოი (64), 1:1 ვანდენბერგი (88), 1:2 ჰარუნი (89), 1:3 დაერდენი (90)

შარლერუა 2:1 ლოკერენი

1:0 თეოფილე (26), 2:0 მასკე (45), 2:1 კოპენსი (52)

ბეერსხოტი 3:1 ბევერენი

1:0, 2:0 კავენსი (29, 45), 3:0 სნოექსი (62), 3:1 რომარიჩი (77)

ლიერსი 7:0 ლუვიე

1:0 მიტუ (3), 2:0 დელორგი (5), 3:0 ა. ტომპსონი (19), 4:0 იმშო (35), 5:0 ა. ტომპსონი (51), 6:0 დელორგი (55), 7:0 მილენკოვიჩი (70)

მუსკრონი 2:0 ბრიუსელი

1:0 დიმბალა (37), 2:0 დე ფლიშაუერი (45)

ოსტენდე 1:1 სტანდარდი

0:1 რუსელი (9), 1:1 სანტალაბი (44)

სენტ ტრუიდენი 3:2 ბრიუგე

0:1 როზენალი (20), 1:1, 2:1 ჰაინალი (30, 40), 3:1 იპუა (85), 3:2 ტურნუა (87)

საბოლოო ცხრილი

ბრიუგე	34	24	7	3	83:25	79
ანდერლეხტი	34	23	7	4	75:34	76
სტანდარდი	34	21	7	6	64:30	70
გენკი	34	21	7	6	59:37	70
შარლერუა	34	19	7	8	47:34	64
გენტი	34	17	5	12	41:37	56
ბეერსხოტი	34	13	6	15	37:40	45
ლუვიე	34	12	8	14	43:43	44
ლოკერენი	34	11	11	12	36:38	44
ლიერსი	34	12	5	17	56:60	41
სერკლი	34	12	5	17	45:74	41
ვესტერლო	34	11	6	17	34:54	39
მუსკრონი	34	10	6	18	41:44	36
სენტ ტრუიდენი	34	10	6	18	40:58	36
ბრიუსელი	34	10	3	21	33:61	33
ბევერენი	34	8	8	18	43:58	32
ოსტენდე	34	6	9	19	31:62	27
მონსი	34	7	5	22	39:58	26

II კლასი. გადასასვლელი პლეი ოფი. III ტური

ანტვერპენი 2:1 ვაასლანდი

რუზელარე 1:0 გელელი

თურქეთი

სუპერლიგა. XXXIII ტური

ანკარაგიუჯიუ — ქონია 1:1; ანკარა — ისთანბული 3:2; ბეშიქთაში — ქაისერი 3:2; დიარბაქირი — რიზე 1:1; გაზიანთეფი — მალათია 4:3; საქარია — სებათი 4:2; დენიზლი — გენჩლერი 1:1; ფენერბაჰჩე — გალათასარაი 1:0; ტრაბზონი — სამსუნი 3:0

ფენერბაჰჩე	33	26	2	5	75:20	80
ტრაბზონი	33	23	5	5	68:28	74
გალათასარაი	33	23	4	6	60:25	73
ბეშიქთაში	33	20	8	5	68:37	68
გენჩლერი	33	13	10	10	52:40	49
დენიზლი	33	13	10	10	46:41	49
ანკარა	33	13	8	12	52:48	47
გაზიანთეფი	33	13	5	15	48:53	44
რიზე	33	11	10	12	34:34	43
კონია	33	10	12	11	58:60	42
მალათია	33	11	7	15	43:51	40
სამსუნი	33	9	9	15	40:56	36
ანკარაგიუჯიუ	33	9	8	16	35:60	35
ქაისერი	33	8	9	16	41:64	33
საქარია	33	9	5	19	49:68	32
დიარბაქირი	33	8	7	18	30:53	31
ისთანბული	33	5	12	16	32:54	27
სებათი	33	3	9	21	37:76	18

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. V ტური

ჰიკ — ტურკუ 3:1; ტამპერე — ჰაკა 0:0; ალიანსი — ლაჰტი 3:1; იარო — მიუპა 0:0; ინტერი — როვანიემი 2:0; კტპ — კუოპიო 0:2; ტპ-47 — მარიეჰამნი 0:2

ჰიკ	5	3	2	0	8:3	11
ტამპერე	5	3	1	1	7:4	10
მარიეჰამნი	5	3	1	1	5:4	10
ინტერი	5	2	3	0	7:1	9
ჰაკა	5	2	3	0	4:2	9
კტპ	5	3	0	2	6:6	9
ტურკუ	5	2	1	2	5:5	7
მიუპა	5	1	3	1	6:4	6
ალიანსი	5	1	3	1	6:5	6
კუოპიო	5	2	0	3	5:6	6
ტპ 47	5	1	0	4	3:6	3
იარო	5	0	3	2	1:5	3
ლაჰტი	5	1	0	4	7:13	3
როვანიემი	5	0	2	3	4:10	2

შვეიცარია

სუპერლიგა. XXXIV ტური

გრასჰოპერი — ბაზელი 4:1; ქსამაქსი — ციურიხი 1:2; თუნი — სენტ გალენი 3:1; აარაუ — იანგ ბოისი 1:1

ბაზელი	33	20	7	6	79:45	67
თუნი	34	18	6	10	69:42	60
იანგ ბოისი	33	11	13	9	56:51	46
გრასჰოპერი	32	11	13	8	46:46	46
ციურიხი	33	12	9	12	53:57	45
ქსამაქსი	32	10	8	14	35:44	38
სენტ გალენი	33	8	11	14	48:57	35
აარაუ	33	7	11	15	42:62	32
შაფჰაუზენი	33	7	11	15	35:55	32

ჩემპიონლიგა. XXXIII ტური

ვოლენი — ბელინცონა 1:5; ვილი — კრინსი 0:3; ბადენი — ბოლმი 1:0; ბულე — შო დე ფონი 2:7; კონკორდია — იუვენტუსი 5:1; ლუცერნი — მეირინი 1:1; ლუგანო — კიასო 3:4; სიონი — ვინტერთური 1:0; ივერდონი — ვადუცი 1:1

პოლონეთი

I ლიგა. XXIII ტური

ამიკა — პოგონი 0:0; კრაკოია — კატოვიცე 2:0; გურნიკი — გროცლინი 0:1; ლეხი — ლეჩნა 3:0; ოდრა — პოლონია 2:1; ზაგლებე — პლოცკი 0:1; ლეგია — ვისლა 5:1

ვისლა	23	17	5	1	64:19	56
გროცლინი	23	15	2	6	45:25	47
ლეგია	23	11	7	5	35:19	40
კრაკოვია	23	11	4	8	31:21	37
პლოცკი	23	10	4	9	31:30	34
ამიკა	23	9	7	7	25:24	34
ლეჩნა	23	8	5	10	33:35	29
გურნიკი	23	7	7	9	26:26	28
ლეხი	23	8	4	11	29:38	28
პოგონი	23	6	9	8	27:37	27
ზაგლებე	23	6	8	9	28:37	26
პოლონია	23	7	5	11	26:45	26
ოდრა	23	6	3	14	23:36	21
კატოვიცე	23	3	4	16	22:53	13

ავსტრია

მაქსაუნდესლიგა. XXXIV ტური

აუსტრია — შტურმი 2:2; გრაცერი — ტიროლი 2:1; მატერსბურგი — ბრეგენცი 2:2; პაშინგი — ადმირა 1:1; ზალცბურგი — რაპიდი 4:1

რაპიდი	34	21	8	5	66:27	71
გრაცერი	34	19	7	8	54:27	64
აუსტრია	34	17	12	5	58:23	63
პაშინგი	34	17	8	9	52:44	59
მატერსბურგი	34	12	9	13	46:53	45
ტიროლი	34	10	10	14	45:46	40
ადმირა	34	10	7	17	34:57	37
შტურმი	34	8	10	16	31:46	34
ზალცბურგი	34	8	8	18	34:49	32
ბრეგენცი	34	4	9	21	29:77	21

I დივიზიონი. XXXIV ტური

აუსტრია (ლ) — რიდი 1:1; გრატკორნი — უნტერზიბენბრიუნი 0:3; კაპფენბერგი — ვიორგლი 2:1; ლინცერი — ალტახი 1:1; კერნტენი — ლეობენი 2:2

საბერძნეთი

თასის ფინალი

ოლიმპიაკოსი 3:0 არისი

1:0 პ. ჯორჯევიჩი (57პ), 2:0, 3:0 რივალდო (70, 89)

დანია

სუპერლიგა. XXIX ტური

ნორდსიელანდი — ორჰუსი 2:1; ოდენსე — მიდტიულანდი 3:1; რანდერსი — კოპენჰაგენი 2:1; სილკებორგი — ოლბორგი 1:0; ვიბორგი — ჰერფიოლგე 2:1; ბრონდბიუ — ესბიერგი 4:0

ბრონდბიუ	29	17	8	4	47:19	59
კოპენჰაგენი	29	15	7	7	50:36	52
ოლბორგი	29	14	6	9	52:36	48
მიდტიულანდი	29	14	5	10	41:39	47
ვიბორგი	29	12	8	9	36:37	44
ესბიერგი	29	12	7	10	55:42	43
ოდენსე	29	11	9	9	53:35	42
სილკებორგი	29	11	6	12	42:46	39
ორჰუსი	29	11	5	13	44:45	38
ნორდსიელანდი	29	6	6	17	30:53	24
რანდერსი	29	5	8	16	28:56	23
ჰერფიოლგე	29	6	5	18	25:59	23

I დივიზიონი. XXVI ტური

ბრიონსჰიოი — ფრემი 0:2; დალუმი — ვაილე 2:1; აკადემისკი — ჰელერუპი 2:1; ბ-93 კოპენჰაგენი — სიონდერიულანდი 0:2; ფრემადი — ნესტვედი 2:1; ჰორსენსი — ფრედერისია 0:2; კიოგე — იოლსტიკე 0:1; ნიკიობინგი — სკიოლდი 0:2

უკრაინა

უმაღლესი ლიგა. XXVII ტური

ბორისფენი — მეტალისტი 0:1; ჩერნომორეცი — ვოლინი 2:1; მეტალურგი (დ) — შახტარი 1:3; ვორსკლა — კრივბასი 2:1; დნიპრო — ზაკარპატია 0:3; დინამო — ილიჩევეცი 2:0; მეტულარგი (ზ) — ობოლონი 1:0; არსენალი — ტავრია 2:2

შახტარი	27	23	2	2	55:16	71
დინამო	27	21	4	2	52:11	67
მეტალურგი(დ)	27	13	5	9	33:32	44
დნიპრო	27	11	9	7	34:31	42
ილიჩევეცი	27	11	8	8	37:31	41
ჩერნომორეცი	27	12	5	10	27:24	41
ვოლინი	27	11	7	9	34:31	40
ტავრია	27	8	9	10	26:26	33
მეტალურგი(ზ)	27	7	11	9	22:28	32
მეტალისტი	27	8	7	12	23:32	31
კრივბასი	27	7	8	12	22:35	29
არსენალი	27	6	10	11	26:33	28
ვორსკლა	27	7	6	14	16:31	27
ზაკარპატია	27	5	10	12	18:26	25
ბორისფენი	27	3	10	14	14:28	19
ობოლონი	27	4	7	16	16:40	19

უნგრეთი

ბორსოდი ლიგა

XXIX ტური

ბეკეშაბა — კაპოშვარი 2:3; დებრეცენი — პეჩი 3:1; ფერენცვაროში — ზალაეგერსეგი 4:2; ტატაბანია — ჰონვედი 1:0; ნირედიჰაზა — მტკ 0:5; შოპრონი — დიოშდიორი 0:1; ვაშაში — ვიდეოტონი 1:1; უიპეშტი — დიორ ეტო 4:1

ირლანდია

პრემიერლიგა. X ტური

ბრეი — ბოჰემიანსი 1:2; დერი სიტი — სენტ პატრიკსი 2:2; დროჰედა — ფინ ჰარპსი 1:0; შემროკი — უოტერფორდი 0:0; ლონგფორდი — დუბლინი 1:0. *კორკ სიტი — შელბურნი გადაიდო*

AFP სტამბოლიდან

სტამბოლის „ფენერბაჰჩემ“ თურქეთის ჩემპიონობა დაუძინებელი მტრის, „გალათასარაის“ ძლევით დაიბეგა

ხაბი ალონსო: ბენიტესი ფინალსაც მოგვაგებინებს

„ლივერპულმა“ წლეულს საფეხბურთო სამყარო ნამდვილად გააოცა — ოცწლიანი პაუზის შემდეგ „ენფილდის“ ბინადრებს შანსი აქვთ, კონტინენტის უძლიერესი კლუბის სახელი ისევ დაიგდონ. ამისთვის კი ლივერპულელებმა სტამბოლში „მილანი“ უნდა დაამარცხონ.

წარმატების მთავარი შემოქმედი უდავოდ ესპანელი სპეციალისტი რაფაელ ბენიტესია, მაგრამ გარჯა არ უნდა დავუკარგოთ ფეხბურთელებსაც. მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეული ბენიტესის თანამემამულე ხაბი ალონსოა, რომელიც „ლივერპულს“ ჩინებულად მოერგო.

ქვემოთ სწორედ მასთან ინტერვიუს გთავაზობთ



— ცოტაც და ჩემპიონთა ლიგის ფინალი გელით...

— გვინდა კლუბის ისტორიაში მეხუთედ მოვიპოვოთ ჩემპიონთა თასი. მიზანთან ძალიან ახლოს ვართ და იმედია, „ლივერპულს“ ევროპის უძლიერეს გუნდად კვლავ ვაქცევთ. სადებიუტო სეზონში ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავედი. „მილანთან“ შეხვედრა უდავოდ უმნიშვნელოვანესი იქნება ჩემს კარიერაში.

— თქვენ ძალიან ძლიერი მეტოქეები დაამარცხეთ და ბევრი ამას პირადად რაფაელ ბენიტესის დამსახურებად თვლის...

— ნამდვილად ასეა. ბენიტესი ბრწყინვალე ტაქტიკოსია. მან ეს „ვალენსიაშიც“ დაამტკიცა და ახლა „ლივერპულშიც“. ფინალშიც მთავარი მოქმედი ფიგურა სწორედ იგი იქნება. შემიძლია, დავარწმუნოთ, რომ ბენიტესი დაწვრილებით შეისწავლის „მილანის“ სტილს და სწორედ იმ სტრატეგიას აირჩევს, რომელიც საჭიროა. ვფიქრობ, იგი ყველასგან დიდ პატივისცემას იმსახურებს.

— ალბათ ნახეთ „მილანისა“ და პსვ-ს ნახევარფინალური დაპირისპირება, სადაც იტალიელებს ძალიან გაუჭირდათ...

— ამ შეხვედრებმა თავდაჯერებულობა შეგვმატა. ჰოლანდიელებმა ბრწყინვალედ ითამაშეს და „მილანს“ ბევრი პრობლემა შეუქმნეს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგივეს გაკეთება და იტალიელთა დამარცხება ჩვენც შეგვიძლია.

— პსვ-მ შემტევი ფეხბურთი ითამაშა. თქვენაც იგივეს აპირებთ?

— მართალია, ჰოლანდიელებმა ლაღი და შემტევი ფეხბურთი ითამაშეს, რამაც, შეიძლება ვთქვათ, გაამართლა. თუმც, არა მგონია, ჩვენ იგივე გავაკეთოთ. სიფრთხილეა საჭირო, ეს ხომ ფინალია.

— რაც იმას ნიშნავს, რომ დაცვიდან ითამაშებთ?

— ჩვენ გვინდა შემტევი ფეხბურთის თამაში, მაგრამ ყურადღებით და ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ. შესაბამისად, გახსნილად ვერ ვიბურთავებთ. „მილანთან“ უაღრესად დაძაბული შეხვედრა იქნება.

— „ლივერპულს“ მსოფლიოში გამორჩეული ფანები ჰყავს...

— დიახ, ეს მართლაც საოცარია, განსაკუთრებით თუ მატჩი „ენფილდზეა“. შეგვიძლია ქომაგი მეთორმეტე მოთამაშედ ჩავთვალოთ. „სკაუზერებმა“ შეძლეს „ჩელსისა“ და „იუვენტუსის“ შეშინება. ვფიქრობ, სტამბოლში „მილანსაც“ იგივე ბედი ელის. უდავოა, რომ იტალიელი ტიფოზები თავიანთ გუნდს მხარდაჭერას არ მოაკლებენ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩვენი ქომაგების ხმა მათსას გადაფარავს.

ინგლისური „ლივერპულის“ ნახევარმცველმა დიტმარ ჰამანმა სეზონის ბოლოს შესაძლოა, „ენფილდი“ დატოვოს. „ჯერ გადაწყვეტილება არ მიმიღია, მაგრამ ჩემპიონთა თასის ფინალის შემდეგ გუნდიდან წასვლა ძალიან ამაღელვებელი იქნება, თუმც ახლა მთავარია „მილანს“ მოვუგოთ, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს“ — აღნიშნა გერმანელმა.

საბერძნეთის ნაკრების მცველი იურკას სეიტარიდისი მოსკოვის „დინამოში“ გადაბარგდა. მხარეებმა ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმეს. რუსული კლუბი კი 10 მილიონ ევროს გაიღებს. შეგახსენებთ, რომ სეიტარიდისმა ბოლო სეზონი „პორტუში“ გაატარა.

ინგლისურმა „ევერტონმა“ და „ტოტენჰემმა“ საიმონ დეკინის ტრანსფერზე მოილაპარაკეს. 25 წლის ნახევარმცველი მომავალი სეზონიდან „გუდისონ პარკზე“ იბურთავებს. ლივერპულელებს ეს ტრანსფერი 4 მილიონი გირვანქა დაუჯდებათ. შეთანხმების სხვა დეტალები ჯერჯერობით არ ხმაურდება.

გერმანული „ბაიერნის“ უფროსობამ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ოლივერ კანი გუნდში 2008 წლამდე დარჩება. „მას საუკეთესო სეზონი არ ჰქონდა, მაგრამ ოლივერს კვლავ ბოლომდე ვენდობით და იგი გუნდში რჩება. ასე რომ, ჭორებს ნუ აჰყვებით“ — აღნიშნა მიუნხენელთა გენერალურმა მენეჯერმა ული ჰოინესმა.

პორტუგალიური „პორტუს“ თავკაცმა ჟოზე კოუსეირუმ პოსტი დატოვა. „გუნდის შემოთავაზებაზე, კლუბში რომელიმე ოთანამდებობა დამეკავებინა, უარი ვთქვი და საერთოდ წასვლა გადავწყვიტე. სამწუხაროა, რომ ქვეყნის ჩემპიონობა ვერ შევინარჩუნეთ“ — თქვა კოუსეირუმ.

ესპანური „ვალენსიას“ ერთ-ერთი ლიდერი რუბენ ბარახა „ლევანტესთან“ მატჩში დაშავდა. „ღამურათა“ ექიმების თქმით, ბარახა დაახლოებით 3-4 კვირა ვეღარ ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ იგი მძიმე ტრავმის შემდეგ ახალი მომჯობინებული იყო.

ავსტრალიის ნაკრების კაპიტანი კრეიგ მური გერმანული „მიონხენგლადბახის“ უფროსობამ გუნდიდან გაგდო. ეს გადაწყვეტილება „გლადბახის“ ხელმძღვანელობამ მას მერე მიიღო, რაც მური კლუბის ვარჯიშზე მთვრალი მივიდა.

საბერძნეთის ნაკრებისა და „რომას“ მცველი ტრაიანოს დელასი თიაქრის ოპერაციას იკეთებს და დაახლოებით ორი თვე მინდორზე ვერ გავა. შესაბამისად, იგი ეროვნულ ნაკრებს თურქეთთან და უკრაინასთან შეხვედრებში ვერ დაეხმარება. გარდა ამისა, დელასი კონფედერაციის თასსაც გამოტოვებს.

ესპანური „ბარსელონას“ ნახევარმცველმა ხერარდმა დააფასტურა, რომ „მონაკოსთან“ მოლაპარაკებას აწარმოებს. თუ იგი კატალონიელებთან კონტრაქტს არ გაახანგრძლივებს, სეზონის ბოლოს თავისუფალი აგენტი გახდება და ფრანგებსაც სურთ, ფეხბურთელი უფასოდ ჩაიგდონ ხელში.

პორტუგალიური „ბენფიკას“ იტალიელ თავკაც ჯოვანი ტრაპატონის სამშობლოში დაბრუნება უნდა და მას კიდევ ერთი მსურველი გამოუჩნდა. „ლაციოს“ თანაქალაქელი „რომაც“ შეეშალა. ამ გუნდს გამოცდილ სპეციალისტთან შეთანხმების მეტი შანსი აქვს, რადგანაც „ლაციოს“ პრეზიდენტმა კლაუდიო ლოტიტომ ცოტა ხნის წინ თქვა, ტრაპით დაინტერესებულნი არ ვართო.

ინგლისის ნაკრებისა და „ბაიერნის“ ნახევარმცველ ოუენ ჰარგრივსს ისევ ნისლიან ალბიონისკენ მიუწევს გული. „დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი „ლივერპულში“. ეს კლუბი ყოველთვის მომწონდა და „ენფილდზე“ რაფაელ ბენიტესის მისვლის შემდეგ ჩემი სიმპათიები გაორმაგდა“ — განაცხადა 24 წლის ფეხბურთელმა.

პოლონეთში ერთ-ერთი არბიტრი დაიჭირეს, რომლის ვინაობაც ჯერ არ ხმაურდება. მას უმაღლესი ლიგის ორი შეხვედრის ჩაწყობასა და ქრთამის სახით, 33 ათასი დოლარის აღებაში აღანაშაულებენ. ამ საქმესთან დაკავშირებით გამოძიება უკვე დაიწყო.

გერმანული „მაინცის“ ნახევარმცველი ჰანო ბალიტჩი მომავალ სეზონს „ჰანოვერში“ დაიწყებს. 24 წლის ფეხბურთელმა ახალ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „ძალიან მიხარია, ჰანოვერი ნამდვილი საფეხბურთო ქალაქია“ — განაცხადა ფეხბურთელმა.

ბრაზილიელი ვეტერანი ფეხბურთელი ნეგრეტე რიო დე ჟანეიროს ერთ-ერთ გარეუბანში მოკლეს. „გრემიოს“, „ბოტაფოგოსა“ და ატლეტიკო მინეიროს“ ყოფილი მცველი მანქანაში მკვდარი იპოვეს. 31 წლის ფეხბურთელს თავში ტყვია ჰქონდა ნასროლი.

შოტლანდიური „სელტიკის“ მწვრთნელი მარტინ ონილი შესაძლოა, კუნდიდან წავიდეს. მოვეხსენებათ, გუშინწინ „სელტიკმა“ „მოზერუელთან“ ბოლო ორ წუთში გაშვებული წყვილი გოლის გამო ჩემპიონობა მოულოდნელად „რეინჯერსს“ დაუთმო. ონილის წასვლის ერთ-ერთი მიზეზიც ესაა, მაგრამ, გარდა ამისა, მისი მეუღლე ავადობს და მწვრთნელს ოჯახთან ხშირად ყოფნა სურს. ბი-ბი-სის ცნობით, მარტინ ონილს გორდონ სტრაჩანი შეცვლის, რომელიც ამ სეზონის დასაწყისში „საუთჰემპტონს“ თავკაცობდა, მაგრამ ცუდი შედეგების გამო გაათავისუფლეს.

ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა
XXVIII ტური

დრნოვიცე — ბანიკი 1:0; სლავია — ბლშანი 0:0; ბუდეიოვიცე — ზლინი 0:0; ოპავა — სიგმა 1:2; ტეპლიცე — ლიბერეცი 0:1; სლოვაკეკო — პრჟიბრამი 1:1; ბრნო — ბოლესლავი 2:0; იაბლონეცი — სპარტა 3:0

სპარტა	28	20	4	4	52:24	64
სლავია	28	13	8	7	36:25	47
ტეპლიცე	28	12	11	5	32:26	47
სიგმა	28	13	6	9	33:32	45
ლიბერეცი	28	13	9	6	41:23	42
იაბლონეცი	28	10	9	9	29:26	39
ბანიკი	28	9	10	9	33:32	37
დრნოვიცე	28	9	8	11	28:27	35
ბლშანი	28	7	10	11	23:35	31
ბოლესლავი	28	6	12	10	26:33	30
ზლინი	28	6	12	10	25:34	30
ბრნო	28	8	6	14	26:39	30
პრჟიბრამი	28	7	8	13	26:40	29
სლოვაკეკო	28	9	13	6	28:21	28
ბუდეიოვიცე	28	6	7	15	25:34	25

ოპავა	28	5	9	14	25:37	18

ლიბერეცს“ და „ოპავას“ დაკლებული აქვთ 6-6 ქულა, „სლოვაკეკოს“ — 12

სლოვაკეთი

I ლიგა. XXXII ტური

ინტერი — პუხოვი 1:0; ტრენჩინი — რუჟომბეროკი 0:2; ტრნავა — ბანსკა ბისტრიცა 1:0; პეტრჟალკა — სობოტა 2:0; ჟილინა — დუბნიცა 5:0

სერბეთი

პირველ ლიგა. XXIX ტური

ბუდუჩნოსტი — ოფკ 1:0; ჰაიდუკი (კ) — ზეტა 3:2; ობილიჩი — ცრვენა ზვეზდა 0:1; რადნიჩკი — ვოივოდინა 1:1; სარტიდი — ზემუნი 1:0; სუტიესკა — ჩუკარიჩკი 1:2; ჟელეზნიკი — ბორაცი 3:1; პარტიზანი — ჰაიდუკი (ბ) 7:0

აშშ

მეიჯორ სოკერ ლიგა
IX ტური

ნიუ იორკი — ნიუ ინგლენდი 2:2; კოლუმბუსი — სოლტ ლეიკი 2:0; ვაშინგტონი — კანზასი 3:2; ჩიკაგო — კოლორადო 2:1; ლოს ანჯელესი — სან ხოსე 2:1; ჩივასი — დალასი 2:5

ნორვეგია

ტიპელიგა. VIII ტური

ბოდიო გლიმტი — ალესუნდი 0:0; ლინი — ჰამ კამი 1:0; რუსენბორგი — მიოლდე 1:1; სტარტი — ბრანი 3:2; ვიკინგი — ოდ გრენლანდი 1:0; ლილესტრიომი — ვოლერენგა 2:1; ფრედრიკსტადი — ტრომსიო 4:2

სტარტი	8	6	1	1	19:9	19
ვოლერენგა	8	6	1	1	13:6	19
ლინი	8	4	3	1	14:6	15
ბრანი	8	4	1	3	19:13	13
ვიკინგი	8	4	1	3	13:12	13
ფრედრიკსტადი	8	3	3	2	12:11	12
ლილესტრიომი	8	3	2	3	9:13	11
რუსენბორგი	8	2	3	3	10:10	9
ტრომსიო	8	2	3	3	8:10	9
ბოდიო გლიმტი	8	2	2	4	9:10	8
მოლდე	8	2	2	4	10:18	8
ჰამ კამი	8	2	1	5	6:10	7
ალესუნდი	8	1	3	4	9:14	6
ოდ გრენლანდი	8	1	2	5	5:14	5

I დივიზიონი. VIII ტური

ალტა — ტონსბერგი 1:2; ბრინი — მანდალი 3:1; ჰიონეფოსი — ჰიოდი 2:1; ლოვ ჰამი — სკეიდი 0:3; მოსი — სტრიომსგოდსეტი 1:1; პორს გრენლანდი — კონგსვინგერი 2:0; სანდეფიორდი — ფოლო 4:1; სტაბეკი — სოგნდალი 4:2

არგენტინა

კლაუსურა. XIV ტური

სან ლორენსო — არსენალი 1:2; ლანუსი — ოლდ ბოისი 0:0; ველესი — ბანფილდი 2:0; ურაკანი — რასინგი 0:0; ბოკა ხუნიორსი — რივერ პლეიტი 2:1; ალმაგრო — კილმესი 2:0; ხიმნასია — ინსტიტუტო 0:0; როსარიო — კოლონი 0:0; ოლიმპო — ესტუდიანტესი 0:2; ინდეპენდიენტე — არგ. ხუნიორსი 3:2

ბრაზილია

სერია A. V ტური

ფორტალეზა — ბრაზილიენსე 2:0; ფლუენტუდე — პაისანდუ 2:0; პარანა — პონტე პრეტა 1:1; ფლუმინენსე — კურიტიბა 2:4; გოიასი — ბოტაფოგო 4:0; სანტოსი — ატლ. მინეირო 3:0; სან კეტანო — ფლამენგო 1:0; ვასკუდა გამა — სან პაულუ 3:1; ატლ. პარანენსე — ინტერნასიონალი 1:3; კორინთიასი — ფიგეირენსე 2:1; კრუზეირო — პალმეირასი 2:0

შვედეთი

ალსვენსკა. VII ტური

ჰეკენი — გეფლე 2:1; ჰელსინგბორგი — კალმარი 2:2; სუნდსვალი — მალმიო 2:0; ელფსბორგი — ჰამარბი 4:1; ჰალმსტადი — ლანდსკრონა 5:1; იურგორდენი — ასირისკა 3:1. *გიოტებორგი — იორგრიტე დღეს გაიმართება*

ჰელსინგბორგი	7	4	2	1	11:7	14
ჰალმსტადი	7	4	1	2	15:8	13
ჰეკენი	7	4	1	2	13:7	13
მალმიო	7	4	1	2	9:5	13
იურგორდენი	7	4	1	2	14:11	13
კალმარი	7	3	3	1	6:3	12
გიოტებორგი	6	2	3	1	4:5	9
ლანდსკრონა	7	2	2	3	9:13	8
ჰამარბი	7	2	2	3	7:10	8
სუნდსვალი	7	2	1	4	10:13	7
ელფსბორგი	7	2	1	4	10:13	7
იორგრიტე	6	2	1	3	10:13	7
გეფლე	7	2	0	5	6:12	6
ასირისკა	7	1	1	5	6:10	4

სუპერეტა. VI ტური

ატვიდაბერგი — ვასტერასი 0:1; ბრომაპოიკარნა — დეგერფორსი 3:0; ლიუნგსკილე — ტრელებორგი 0:1; ბოდენსი — იოსტერსი 2:4; ფრიოლუნდა — გაის 0:4; მიალბი — აიკ 1:1; იორებრო — ფალკენბერგი 1:1; ვასბი — ნორჩიოპინგი 1:1

ხორვატია

ნაციონალ ლიგა. XXXI ტური

ინტერი — ჰაიდუკი 1:1; სლავენი — რიეკა 1:1; ვარტექსი — ზაგრები 3:1; ოსიეკი — კამენი 3:0; ზადარი — მედიმურიე 1:0; პულა — დინამო 0:0

სლოვენია

სი მობილ ლიგა. XXX ტური

დრავა პტუი — პუბლიკუმი 0:1; დომზალე — ოლიმპია 3:0; ნოვა გორიცა — პრიმორიე 1:1; კოპერი — ბელა კრაინა 1:0; მარიბორი — მურა 2:0; ზაგორიე — ლიუბლიანა 1:3

ისლანდია

პრემიერდივიზიონი. II ტური

გრინდავიკი — ჰაფნარფიორდური 1:5; პროტური — ფილკირი 1:2; ვესტმანაეიარი — კეფლავიკი 2:3; რეიკიავიკი — ფრამი 1:0. *ვალიური — აკრანესი (წუხელ გვიან დამთავრდა)*

ამხანაგური მატჩი

იაპონია 0:1 პერუ

...და ან ცაზე ვარსკვლავები

უილიამ დინი

დიქსი დინი ლეგენდარული კაცია ამ სიტყვის ყველანაირი მნიშვნელობით. ის მეოცე საუკუნის ოციან წლებში თამაშობდა და კარიერაში 37 ჰეთ თრიქი აქვს შესრულებული. გნებავთ გაოცდით, გნებავთ ნუ გაოცდებით, მაგრამ მის ცხოვრებაში იყო სეზონი, როდესაც 60 გოლი შეაგდო და თუ ამაზე გვეტყვით, რომ მაშინ ყველაფერი ადვილი იყოო, გიპასუხებთ: ღმერთმა თქვენი ეპოქისთვის გაგაკეთებინოთ ის, რაც დინიმ თავისი ეპოქისთვის გააკეთა. ახლა კი ყველაფერი უფრო დაწვრილებით მოვყვეთ, თუმცა ერთ საგაზეთო წერილში რა გინდა ჩატიო? რაც არის, არის: დავიწყოთ 1928 წლის 5 მაისით, როდესაც „გუდისონ პარკზე“ ლივერპულის „ევერტონმა“ ლონდონის „არსენალს“ უმასპინძლა...

მას სძულდა დიქსი

იმ დღეს „ევერტონი“ უკვე ჩემპიონი იყო ანუ სატურნირო თვალსაზრისით, მატჩი არაფერს ნიშნავდა, მაგრამ 48-ათასიან სტადიონზე 60 ათასი ქომაგი თამაშის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე მივიდა და ჩაეპრესა. მიზეზი: შეძლებს ჩვენი დიქსი ჯორჯ კემსელის რეკორდის დამხობას? — აი, კითხვა, რომელიც იმ საათებში სამოცივე ათასმა, სულ მცირე ერთხელ მაინც წარმოთქვა.

ჯორჯ კემსელი „მიდლსბროს“ თავდამსხმელი იყო, რომელმაც წინა წელიწადს 59 გოლი გაიტანა... მეორე დივიზიონში. მაგრამ, დივიზიონს რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია ხომ გაიტანა?

მაშ ასე, დიქსი დინი 57 გოლითაა და ჰეთ თრიქი სჭირდება. ბარემ დავძინოთ, ეს 57 გოლი 38 შეხვედრაში გაიტანა, კიდევ სამ თამაშში კი მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ ამას ცხადია, მნიშვნელობა არ აქვს. მოკლედ ჰეთ თრიქია საჭირო. იწყება თამაში, და ორ წუთში „არსენალს“ გოლი გაქვს. ვითომ დაიბნევა ჩემპიონი? რა მიხვედრა უნდა, რომ დაბნეულიყო, წერილში იმ 5 მაისს სულ არ ვახსენებდით. მოკლედ, გადის სულ რაღაც ერთი წუთი და დინი კუთხურიდან თავით ათანაბრებს ანგარიშს. შემდეგ გადის კიდევ ცოტა ხანი და დინის საჯარიმოში აქცევენ — ცხადია, გოლია. „გუდისონ პარკი“ სიხარულისგან ლამისაა დაიმტვრეს. თავად განსაჯეთ, თამაშის დაწყებიდან სულ რაღაც ათი წუთია გასული, მათმა დიქსიმ კი უკვე ორი შეაგდო. ერთიღა დარჩა.

...მაგრამ იმ ერთს, არა და არ დაადგა საშველი. გადის ტაიმი, გადის მეორეს ნახევარი, თამაში დასასრულს უახლოვდება გოლი კი არ გადის, თუმცა ჟანრის კანონები კარგად მოგეხსენებათ და იცით, რომ ამ ამბავს ასე არ მოვყვებოდით 82-ე წუთი რომ არ დამდგარიყო.

ჰოდა, დადგა ეს ნანატრი 82-ე წუთიც, „ევერტონი“ კუთხურს აწვდის — კუთხურის ჩასაწოდებლად მირბის ადამიანი, რომელსაც ჰქვია ალეკ ტრუპი და იმითაა ცნობილი, რომ დინის გოლთა უმეტესობა მისი პასებით გადის. „გუდისონ პარკი“ ირინდება, შორიახლოს კი მდინარე მერსი მიედინება. რა შუაშია მდინარე მერსი? იმ შუაშია, რომ მის იქით არის ლივერპულისგან მეტ-ნაკლებად მოშორებული ქალაქი ეინთრი, რომლის მოსახლეობასაც საშინელი ღრიალი მოესმა. ამბობენ, ღრიალი მდინარემ თავის წილად გააძლიერაო... თუ გნებავთ, ნუ დაიჯერებთ.

ახლა კი ის გვითხარით გეთაყვა, თუ გწამთ, რომ ადამიანს თავის ძლიერი ტრავმის შემდეგ შეუძლია რისამე დიდი ნიჭი აღმოაჩნდეს? დინის შემთხვევაში სწორედ რომ ასე იყო: იგი „ევერტონმა“ „ტრანმერ როვერსიდან“ 1925 წელს იყიდა. მაშინ თავდამსხმელი 18 წლისა გახლდათ. კონტრაქტის ღირებულება კი იყო 3 ათასი გირვანქა, მაგრამ არ გასულა დიდი ხანი, უფრო ზუსტად კი 1926 წლის 10 ივნისს, დინი საშინელ ავტოკატასტროფაში მოჰყვა დაზოგადი ტვინის მკურნალობის შემდეგ [illegible] დან მოუწია კარიერის დაწყება. ტრავმას სიმძიმეზე [illegible] არ შევჩერდებით, მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ყმაწვილი სიკვდილს გადაურჩა, მოედანზე დაბრუნების შემდეგ კი... ყველამ შეამჩნია, რომ მისი დარტყმები განსაკუთრებულად ძლიერი და მუხტიანი გახდა, ხოლო თავი, რომელსაც ცოტა ხნის წინ ექიმები აწყობდნენ, გოლების მანქანად ჩამოყალიბდა.

1927 წელს „ევერტონი“ ინგლისის ჩემპიონი გახდა, უფრო სწორედ კი ჩემპიონი გახდა დიქსი დინი, რომელმაც გუნდის სეზონური 102 გოლიდან 60 შეაგდო. ოღონდ, გთხოვთ, ნუ იკითხავთ, რეკორდი თუ აო. ალბათ, რეკორდია და თან ისეთი, ფეხბურთის ახლანდელი წესებით ვერავინ ვერასდროს რომ ვერ შეცვლის... მაგრამ ერთი წუთით: 1924-25 წლებში, ამერიკელმა არჩიბალდ სტარკმა 67 გოლი გაიტანა, 1945-46 წლებში უნგრელმა ფერენც დეაკმა 66 შეაგდო, ხოლო 1975 წელს, კლაუსურა-აპერტურაში ერთად, არგენტინელმა ექტორ სკოტმა დინის შედეგი გაიმეორა.

დიქსი დინი... ჭირის დღესავით სძულდა დიქსის რომ ეძახდნენ. მისი აუხდენელი ოცნება სახელით მიმართვა გახლდათ — უილიამი ან ბილი უნდოდა ეწოდებინათ.

რატომ დიქსი? იმიტომ, რომ შავი თმის გამო ამხანაგები ხანგს ადარებდნენ, ხოლო ხანგი მონა თუ შინამოსამსახურე, მათთვის ისევე იყო დიქსი, როგორც ჩვენთვის რუსი არის ვასია.

...საინტერესოა, დინისთვის ვინმეს რომ ეკითხა, აბა, გამოიცანი 74 წლისა სად და რა ვითარებაში მოკვდებიო, რას უპასუხებდა. ალბათ, ვერაფრით გამოიცნობდა, რომ 1980 წელს, ივი „გუდისონ პარკის“ ტრიბუნაზე, ლივერპულური დერბის, „ევერტონ“ — „ლივერპულის“ ცქერისას დატოვებდა ქვეყნიერებას.

პაპუნა კედია

დიქსი დინმა ერთ სეზონში 60 გოლი გაიტანა



ლეგენდარულ „გუდისონ პარკს“ ლეგენდარული მეგოლის ქანდაკება ამშვენებს

სამხრეთული სამშაბათი

ლადო ხომერიკი

დიეგო მარადონამ, ახალი ცხოვრება დავიწყეო

დიეგო ნარკოტიკების გარეშე

დიეგო მარადონა ახალი ცხოვრებით ტკბება — ყოველგვარი ნარკოტიკებისა თუ სხვა ათასი საეჭვო პრეპარატების გარეშე.

„ზუსტად ერთი წელი და ერთი თვეა, რაც ნარკოტიკებს აღარ ვიღებ. ახლაღა ვხვდები, თუ რამდენი დრო დამიკარგავს. ცხოვრებაში ბედნიერება სხვა გზით უნდა ვეძებო" — აღნიშნა დიეგომ, არგენტინის ტელევიზიის პროგრამა „შოუ მატჩში" გამოსვლის დროს.

მარადონამ მერე თავის შვილებზე ილაპარაკა.

„დღეს დალმასა და ჯანინას გარეშე გატარებული ყოველი წამი ფუჭად დაკარგულ დროდ მიმაჩნია. ვცდილობ, ის პერიოდი ავინაზღაურო".

მსოფლიოს ცნობილი რეჟისორები მის შესახებ დოკუმენტურ ფილმებსაც იღებენ.

„მარკო როსის „მარადონა" ვნახე, თუმც, გულახდილად გეტყვით, არ მომეწონა. ეს იგივეა, არგენტინელმა ესპანელ ტორეადორზე რომ გადაიღოს ფილმი. ევროპელებს სამხრეთამერიკელ ფეხბურთელებზე ფილმების გადაღება ნაკლებად ეხერხებათ. თუმც ვიცი, რომ ახალ სურათზე ემირ კუსტურიცა მუშაობს. იმედია, ის შეძლებს უკეთ გადმოსცეს, ვინ არის და რას წარმოადგენს დიეგო მარადონა" — აღნიშნა ლეგენდარულმა დიეგომ.

ლეანდრო დესაბატო

არ ვარ მე რასისტი

არგენტინელმა, ბრაზილიაში მინდაო

„ვალმერთებ ბრაზილიურ ფეხბურთს და თუ შესაძლებლობა მომეცა, იქაურ კლუბებში დიდი სიამოვნებით ვითამაშებ. „კორინთიანსი", „სან პაულუ", „პალმეირასი", „კრუზეირო" — რომელიმე მათგანმა თუ დამიძახა, ბრაზილიაში გადასვლაზე უარს ნამდვილად არ ვიტყვი" — ეს სიტყვები ლეანდრო დესაბატოს ეკუთვნის, არგენტინული „კილმესის" ფეხბურთელს რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინ „სან პაულუსთან", ლიბერტადორესის თასის მატჩის შემდეგ პოლიციამ მოედანზევე დააპატიმრა და რასიზმში ბრალდებით ციხეში უკრა თავი.

მაშინ, ბრაზილიურ მედიაში დიდი სკანდალიც იყო ატეხილი — ფიცხ ლეანდროს შავთმოძულეობაში ადანაშაულებდნენ, ჩვენს თანამემამულე გრაფიტეს „აყროლებული მაიმუნი" როგორ უთხარიო. ასეა თუ ისე, დესაბატომ ციხეში სამი დღე მაინც გაატარა და ჯარიმის გადახდის მერე გაათავისუფლეს.

ახლა კი რა ხდება? რა და ლეანდრო დესაბატოს სურს განცდილი კოშმარი დაივიწყოს, რაშიც სწორედ ბრაზილიური ფეხბურთის ჯადო ეხმარება.

„რასაკვირველია, მიჭირს იმის პატიება, რაც მოედანზე და მერე პოლიციაში გადამხდა, მაგრამ ბრაზილიურ ფეხბურთს პატივს მაინც ვცემ." — უთხრა „კილმესის" მცველმა ბრაზილიელ ჟურნალისტებს. ხოლო კითხვაზე, მართლა რასისტია თუ არა იგი, დესაბატომ ღიმილით უპასუხა: „ეგ სრული სისულელეა. უამრავი შავკანიანი მეგობარი მყავს და გრაფიტეს აბსურდული ბრალდებაც მხოლოდ თავხედური ცილისწამებაა. მე გეტყვით, სინამდვილეში რაც მოხდა — მოედანზე, ერთ-ერთი სათამაშო ეპიზოდისას გრაფიტე მომიახლოვდა და დამიძახა, რომ „კილმესის" ველურ მცველებს ბანანით დაასაჩუქრებდა. გაბრაზებულმა იმ ბანანის ერთ ადგილას შერჭობა ვურჩიე, მან კი შარი მომდო, თითქოს „აყროლებული მაიმუნი" ან „ნიგერი" დამეძახოს. მოკლედ, ახლა თავად განსაჯეთ, ვინ იყო ჩვენს შორის დამნაშავე".

ბიანკიმ ატლეტიკო უარყო

ცნობილმა არგენტინელმა მწვრთნელმა კარლოს ბიანკიმ მედიასთან საუბრისას აღნიშნა, რომ ესპანური „ატლეტიკოს" თავკაცთაგან ოფიციალური შეთავაზება არ მიუღია.

„ჯერჯერობით არც „ატლეტიკოს" და არც რომელიმე სხვა ესპანური გუნდის წარმომადგენლები არ დამკავშირებიან. დასამალი არაფერი მაქვს, თუ ევროპელები რაიმე წინადადებით მომმართავენ, ეს პრესისთვისაც მაშინვე ცნობილი გახდება" — განუცხადა ბიანკიმ „კლარინის" კორესპონდენტს.

სხვადასხვა დროს „ბოკა ხუნიორსისა" და „ველეს სარსფილდის" ყოფილი მწვრთნელის ესპანეთში შესაძლო გადაბარგება პირველად პირინეულმა „ელ მუნდო დეპორტივომ" იწინასწარმეტყველა. სწორედ ამ გაზეთმა დაწერა, კარლოს ბიანკისთან მადრიდული „ატლეტიკოს" ლიდერები „ბარსელონა"-ს პარაკებას და სავსებით მოსალოდნელია, „ვისენტე კალდერონის" ბინადრები მომავალი სეზონიდან მან დამოძღვროსო. თუმც ასევე არსებობს ცნობები იმის შესახებ, რომ სენიორ ბიანკის მეორე, გაცილებით ძლევამოსილი ესპანური გრანდი, მადრიდის „რეალი" ეპატიჟება.

„ამჟამად ვერაფერს გეტყვით. ისე კი, რა თქმა უნდა, მზად ვარ. თუ „ატლეტიკოს" ან სხვა გუნდს ჩემთან მოლაპარაკება სურს, პრობლემები არ შეექმნებათ" — განმარტავს ბიანკი.

ბოლოს კი გეტყვით, რომ მადრიდელთა ახალ დამრიგებლად „ოსასუნას" მექსიკელი თავკაცი ხავიერ აგირე და გალისიური „დეპორტივოდან" მიმავალი ხავიერ ირურეტაც მოიაზრებიან.

კარლოს ბიანკი „ბოკა ხუნიორსიდან" წამოსვლის მერე უმუშევარია

ელ კლასიკო არგენტინულად

ბოკამ რივერი ისევ გაამწარა

„რივერ პლეიტის" მწვრთნელი ლეონარდო ასტრადა კვირას, „ბოკა ხუნიორსთან" 1:2 წაგებულ სუპერკლასიკოს მისტირის — „ბოკამ" დაუძინებელი მტერი და მეტოქე გილერმო ბაროს შელოტოსა და მარსელო დელგადოს გოლებით საკუთარ „ბომბონერაზე" დაამარცხა.

დაამარცხა და წაგებამ „რივერი" არგენტინის ჩემპიონატის ლიდერ „ველეს სარსფილდს" მთელი 6 ქულით დააშორა.

„რა თქმა უნდა, ყველანი ძალიან დამწუხრებულები ვართ. ასეთი მნიშვნელოვანი მატჩის და ისიც „ბოკასთან" წაგებამ ყველანი დაგვზაფრა, თუმც ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოგებაც შეგვეძლო. უბრალოდ, გადამწყვეტ ეპიზოდებში ბედმა გვიღალატა" — თქვა ლეონარდო ასტრადამ მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე.

„ბომბონერაზე" თავიდან „რივერი გაბატონდა, თუმც ანგარიში ბოკელებმა გახსნეს — მეტოქის საჯარიმოში არეულობის შედეგ ბურთს პირველმა ბაროშ შელოტომ მიუსწრო და ტაბლოზე 1:0 დაფიქსირა.

მეორე ტაიმის დასწყისში სტუმარმა სატატამ ლუჩო გონსალესს საუცხოო პასი მიაწოდა და მასაც ანგარიშის გათანაბრება არ გასჭირვებია. შემდეგ თამაში ორმხრივი იერიშებით წარიმართა. სახიფათო ეპიზოდები მრავლად იყო, თუმც უფრო „ბოკას" გაუმართლა — მარსელო დელგადომ კარიდან 25 მეტრში დანიშნული საჯარიმო ჩინებულად დარტყა და „რივერ პლეიტს" ქულის იმედიც გადაუწურა.

„ფეხბურთელები წაგებით განაწყენებულები არიან, მაგრამ თუ დღევანდელი ტემპი შევინარჩუნეთ და. მომდევნო მატჩებში მცირეოდენი სიზუსტე გამოვიჩინეთ, მომავალში დიდ გამარჯვებებესაც მივაღწევთ" — თქვა ბოლოს ასტრადამ.

ლეონარდო ასტრადამ „რივერ პლეიტის" მარცხი ძალიან განიცადა

სარბიელი: კროკო

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		შვედეთი. ალსვენსკა 24 მაისი						
21:00	236	გოთენბერგი-იორგრიტი	1.75	3.4	4.0	1.15	1.21	1.83

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ჩემპიონთა ლიგა 25 მაისი						
22:45	350	მილანი-ლივერპული	2.0	3.0	3.9	1.2	1.32	1.69

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
13350	მილანი-ლივერპული	1.7	1.9

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12350	მილანი-ლივერპული	1.55	2.1

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შანსი დაგებულად ითვლება)

14350	მილანი-ლივერპული	1.75	2.0

ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

		ლუწი	კენტი
17350	მილანი-ლივერპული	1.85	1.95

თასის აღება

18350	მილანი-ლივერპული	1.55	2.3

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15350	მილანი-ლივერპული	3.0	2.8	2.0

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10350	მილანი-ლივერპული	2.5	1.9	3.8	1.07	1.5	1.26

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11350	მილანი-ლივერპული	3.0	10.0	20.0	4.0	4.4	6.0	20.0	10.0	5.2

CROCO BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი №70	
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
	ისანი -კახეთის გზატკეცილი	ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	წმინდა ნინოს ქუჩა № 13	
	ჭავჭავაძის № 67	ცენტრალური ავტოსადგური
გორი	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	„ახალი ავტოსადგური“ ალაზნის გამზირი	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა № 1	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №50	
ოზურგეთი	გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2	
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30	
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27	
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145	
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6	
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ

დიდი მატჩის ორი მწვრთნელი

ჟეიშვილი: ასე ახლოს არასდროს ყოფილვართ

ვ.ბერაძე დოლიძეანეშვილის ფოტო

ნუგზარ ჭეიშვილის „სტუ-ჯეოსელსაც“–

ვ.ბერაძე დოლიძეანეშვილის ფოტო

–თასი უნდა–

მოსეშვილი: ჩვენ უმჯობესი შანსი გვაქვს

ვ.ბერაძე დოლიძეანეშვილის ფოტო

–და ლევან მოსეშვილის „ავიამშენსაც“

ᲓᲦᲔᲘᲡ ვერის ბაღში დიდი ფინალია. დიდი არა კლასითა და ხარისხით, არამედ მნიშვნელობით. ოქტომბრიდან მოყოლებული დღემდე „ავიამშენმა“ და „სტუ-ჯეოსელმა“ ბევრი მეტოქე დაამარცხეს, გაიხარეს და იმედგაცრუებაც ნახეს, მაგრამ ახლა ამ გუნდებს ყველაფერი ჩირად უღირთ, რაკი წინ სეზონის ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩი — სუპერფინალია.

დიახ, სწორედ დღეს წყდება მე-14 ეროვნული ჩემპიონატის გამარჯვებულის ვინაობა. ვინც ამ თამაშს მოიგებს, ოქროს მედლებიც იმისია. ეს ისეთი მატჩია, ფავორიტი რომ არ ჰყავს. ობიექტურობა მოითხოვს, შანსები თანაბრად გავანაწილოთ, რაკი ვერავინ იტყვის, „ავიამშენი“ სტუ-ს სჯობიაო და პირიქით.

ვფიქრობთ, ეს არის ყველაზე არაპროგნოზირებადი ფინალი ეროვნული ჩემპიონატების ისტორიაში. აქამდელ ფინალებს ფავორიტი ასე თუ ისე, ჰყავდა, ახლა კი... მომხდარა, რომ რამდენჯერმე ფავორიტი დამარცხებულა, მაგრამ ის ფინალამდე მაინც ითვლებოდა მეტოქეზე რეალურ კანდიდატად.

თუნდაც შარშანდელი ფინალი ავიღოთ. დრაჟენ ბრაიკოვიჩის „დინამო“ ულაპარაკო ფავორიტი იყო უხელფასო და რევოლუციურ ბათუმიდან აბარგებულ „ბასკოსთან“, მაგრამ... ერთხელაც ნახევრად დაშლილმა და უხელფასო „ვითამ“ წინასწარ ყველასგან ჩემპიონად შერაცხული რუსთავის „აზოტი“ დატოვა სახტად.

ისტორიის ქექვა შორს წაგვიყვანს, დღევანდელ მატჩს მოვუბრუნდეთ და მეტოქე მწვრთნელების წინასამატჩო სიტყვას მოვუსმინოთ...

ნუგზარ ჭეიშვილი, „სტუ-ჯეოსელის“ მთავარი მწვრთნელი:

„როგორც 1981 წლის 13 მაისს კოტე მახარაძე ამბობდა, „დინამო“ ასე ახლოს არასდროს ყოფილა თასის მოგებასთანო, სწორედ ისეა ჩვენი საქმეც. სტუ არაერთხელ იყო ნახევარფინალში და ერთხელ ფინალშიც, მაგრამ ასეთი რეალური შანსი, ახლა რომ გვაქვს, არასდროს ყოფილა...

მთლად მწყობრში ვერ ვართ — ერთ-ერთ ლიდერ ირაკლი შანიძეს ფეხი სტკივა და მისგან ჩვეულ დახმარებას არ ველით. მუხლი აწუხებს რამაზ გოგობერიშვილს, ხოლო დავით ბერიშვილს წელის ანთება აქვს. მიუხედავად ამისა, არ ვთვლი, რომ მოგება არ შეგვიძლია. ერთი მატჩი დარჩა და ყველაფერი უნდა გავიღოთ მის მოსაგებად...

ისე, რომც ვერ გავიმარჯვოთ, ჩემი გუნდის წევრებს მაინც გმირებად ჩავთვლი. სტუ-მ ამ სეზონში ორი თასი მოიგო — საქართველოსი და დუდუ დადიანის სახელობის, ახლა კი ვერცხლის მედლებიც გარანტირებული გვაქვს და ამას ჩემმა გუნდმა მიაღწია მას შემდეგ, რაც სეზონის წინ კახა შენგელიამ დაგვტოვა, ხოლო ალეკო დავითულიანმა ზამთარში თამაშს თავი დაანება. ჩვენ ჩვენი სიტყვა ამ სეზონში უკვე ვთქვით და ახლა დამაგვირგვინებელი ნაბიჯის გადადგმას ვაპირებთ“.

ლევან მოსეშვილი, „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი:

„ფინალური სერიის ბოლო მატჩის შედეგიდან გამომდინარე, განწყობა კარგი გვაქვს. თუმც ჩვენ კარგად ვხედავთ, რომ თამაშის ორგანიზების მხრივ პრობლემებს განვიცდით და ვეცდებით ხარვეზების აღმოფხვრას. ჩვენი მთავარი ამოცანაა, მეტოქეს სწრაფი შეტევების განხორციელების საშუალება არ მივცეთ და ის უპირატესობა, რასაც სიმაღლეში ვფლობთ, მაქსიმალურად გამოვიყენოთ. სტუ-ს კონტრშეტევების შესაჩერებლად ჩვენ არც ჯარიმებს მოვერიდებით და ამაში გრძელ სათადარიგო სკამს გამოვიყენებთ. ჯობს, შეტევა მეტოქის ნახევარზევე ჩავშალოთ ჯარიმით, ვიდრე სტუ-ს გაქცევის საშუალება მივცეთ...

ყველაზე მეტად გიორგი მარკოიშვილსა და რამაზ გოგობერიშვილს ვუფრთხით. ამ ორ მოთამაშეს დიდ ყურადღებას მივაქცევთ და თუ გავაუნებლებთ, ალბათ გავიმარჯვებთ კიდეც. წინა მატჩში ეს მოვახერხეთ და შედეგიც გამოჩნდა, 23 ქულით ვიმარჯვეთ...

ჩემი აზრით, მოგების უკეთესი შანსი ჩვენ გვაქვს — სამოცი ორმოცზე. ეს არაა წინასამატჩო დიპლომატია, რომელსაც რეგულარული ჩემპიონატის ბოლო მატჩის წინ მივმართეთ და გაამართლა. ახლა რეალურად ვფიქრობ, რომ სტუ-ზე ოდნავ უკეთესი შანსი ჩვენ გვაქვს“.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲞᲔᲠᲢᲐᲘᲐ

შემონდის დღეგზი დათვლილია

სლოვენიაში ქართული ამინდია

ვ.ბერაძე დოლიძეანეშვილის ფოტო

ვლადიმერ ბოისა

ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ უმეტესობამ უკვე გაასრულა სეზონი და ახლა თითებზე ჩამოსათვლელიღა შერჩენიან მოედნებს. ორიოდ ქვეყანაში — რუსეთსა და სლოვენიაში — იღწვიან „ხუთჯვაროსნები“, თუმც ჩვენს მეზობელ ქვეყანაში მოთამაშე შემონდ უილიამსიც მალე დაეშშვიდობება ბურთს და მოედანს...

ჩვენი ნაკრების ამერიკელი გამთამაშებელი რუსეთში კია ერთ-ერთი უძლიერესი კალათბურთელი, მაგრამ მარტო კაცი თამაშშიც რომ ბრალია, ესეც კარგად ვიცით. ყაზანის „უნიკსი“ კარგი გუნდია, მაგრამ არა ისეთი ძლიერი, მოსკოვის „დინამოს“ გაუტოლდეს და მას ფინალის საგზური აართვას.

„უნიკსი“ 0:2 აგებს ნახევარფინალურ სერიას და სავარაუდოდ, მალე დაასრულებს რუსული ოქროსთვის ბრძოლას. შემონდ უილიამსმა, მთელი სეზონი რომ მხრებით ათრია გუნდი და უმეტესად ბომბარდირობდა, ახლა ძველებურად ველარ ირჯება. მან „დინამოსთან“ ორ წაგებულ მატჩში ერთხელ 9 და ერთხელაც 18 ქულა დააგროვა, რაც მისი გაქანების მოთამაშისთვის ვერაფერი შედეგია.

სამაგიეროდ, სლოვენიაში მოთამაშე ქართველები ბობოქრობენ და ეს უპირველესად ოლიმპიელებზე ითქმის. სლოვენიის ჩემპიონატის პლეიოფსწინა ეტაპს 9-დან 9 გამარჯვებით „ოლიმპია“ ლიდერობს, ხოლო თავად ამ გუნდს ჩვენებურები წინამძღოლობენ.

თუ აქამდე მხოლოდ ვლადიმერ ბოისა ითვლებოდა ოლიმპიელთა ლიდერად, ახლა მას გვერდში მანუჩარ მარკოიშვილი, უდიდესი მონდომებისა და დისციპლინის მქონე ახალგაზრდაც ამოუდგა. არაბალია, რომ „მანუმ“ ამ ბოლო დროს ქულების გროვებას უმატა და მოედანზე ყოფნის ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად გაიხანგრძლივა.

გასულ კვირაში „ოლიმპიამ“ მორიგი მატჩები მოიგო და ისევ ჩვენიანთა დახმარებით. „კრკასთან“ ბოისამ 17 ქულა მიითვალა, ხოლო მანუჩარმა — 11. „ელექტრისთან“ მატჩში კი ორივემ თანაბრად იღვაწა — 14-14 ქულა დაუგროვდათ.

სლოვენიის ჩემპიონატის პლეიოფი იქით კვირაში დაიწყება და ნახევარფინალში ადგილი „ოლიმპიასთან“ ერთად უკვე დავით უგრეხელიძის „პივოვარნამაც“ დაიბევა. „მელუდეებმა“ გასულ კვირაში 2 მატჩი მოიგეს და ამ საქმეში მოკრძალებული წვლილი მიუძღვის ქართველ ლეგიონერს. უგრეხელიძემ „ჰელიოსის“ ძლევისას 21 წუთში 3 ქულა დააგროვა, ხოლო „კრკასთან“ თავის გამოჩენის შანსი თითქმის არ მისცემია.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲞᲔᲠᲢᲐᲘᲐ

სახელი გვარი	გუნდი	ტურნირი	მეტოქე	სად	ანგარიში	წთ	ქ	მ	პ	ჩ
ვლადიმერ ბოისა	ოლიმპია	სლოვენიის ჩემპიონატი	კრკა	შ	89:55	29	17	8	1	0
			ელექტრა	ს	79:71	40	14	4	0	3
მანუჩარ მარკოიშვილი	ოლიმპია	სლოვენიის ჩემპიონატი	კრკა	შ	89:55	18	11	1	1	2
			ელექტრა	ს	79:71	20	14	2	0	0
შემონდ უილიამსი	უნიკსი	სუპერლიგა (რუსეთი)	დინამო	ს	70:79	38	18	5	6	4
			დინამო	ს	75:96	31	9	2	1	2
დავით უგრეხელიძე	პივოვარნა	სლოვენიის ჩემპიონატი	ჰელიოსი	ს	77:49	21	3	5	0	1
			კრკა	ს	82:66	3	0	1	1	1

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ; ნ — ნეიტრალური

N B A PLAY OFF 2005
კონფერენციის ფინალი



მანუ ჯინობილი ფინიქსელებს გაურბის

ბუმერანგი
ფინიქსს თავისივე მიუბრუნდა

— 22 მაისი —

დასავლეთი

ფინიქსი 0:1 სან ანტონიო

ფინიქსი 114:121 სან ანტონიო

ფინიქსი: ნეში (29 ქულა, 13 მოხსნა), ჯეკსონი (20), რიჩარდსონი (7), მარიონი (3), სტუდემაიერი (41); ჰანტერი (9), ბარბოსა (5)

სან ანტონიო: პარკერი (29), ჯინობილი (20), ბოუენი (2), დანჯანი (28 ქულა, 15 მოხსნა), მუჰამედი (9); ბერი (21), ჰორი (12), უდრიჰი, ნესტეროვიჩი

„სან ანტონიო სფურზმა“

ბოლო შვიდი წლის განმავლობაში მხოლოდ მეორედ დაიწყო საპლეიოფო სერია გასვლით, მაგრამ 1999 და 2003 წლების ჩემპიონებისთვის ფინიქსში თამაშს არავითარი დისკომფორტი არ შეუქმნია. დანკანი, პარკერი და ჯინობილი თავის საქმეს „ამერიკა ვესტ არენაშიც“ მშვენივრად ასრულებდნენ. მართალია, მათ მხოლოდ 7-ქულიანი, მაგრამ მაინც დამაჯერებელი გამარჯვება ჩაიწერეს და მფრინავ „ფინიქს სანზს“ მოედნის უპირატესობაც აართვეს.

„კარგია, მაგრამ ერთი გამარჯვება საკმარისი არ არის, აქ მეორე თამაშიც უნდა მოვიგოთ და ამათ მართლა წავუხდინოთ ხასიათი — ჩვეულებრივ მშვიდი და უწყინარი ტიმ დანკანი ახლა აგრესიულად აკეთებს თვალებს. „ფინიქსს“ სხვანაირად ვერც მოუგებ.

„მათ ყველაფერში გვაჯობეს — ამბობს ფინიქსელი ჯიმ ჯეესკონი — ეს ადვილი ასახსნელია, მათ მეტი საპლეიოფო გამოცდილება აქვთ და იციან, რა როგორ აკეთონ. არავითარი მოკრძალება, ისინი აქ ჩვენს დასამარცხებლად მოვიდნენ.“

„სან ანტონიომ“ „ფინიქსს“ ყველაფერში თუ არა, ბევრ რაშეში რომ აჯობა და ბევრი რამეც კარგად რომ გამოსდიოდა, ეს წვრილმანებშიც კი ჩანს. მაგალითად, პირველი მეოთხედის ბოლო წამებზე მანუ ჯინობილიმ ცენტრს იქიდანაც კი ჩაუდო „სანზს“. ან თუნდაც „სფურზის“ სათადარიგო ბრენტ ბერი ვახსენოთ, ვინც ამ პლეი ოფში საშუალოდ 6 ქულას თუ აკეთებს დ 24 აპრილს „დენვერს“ 16 ქულა რომ ჩაუგდო, მას აქეთ ხეირიანი თამაში არ ჰქონია, ახლა კი მან 4 სამქულიანი მითვალა და 21 ქულა გაახერხა.

საზოგადოდ, სანანტონიოელებს შეტევაში ყველაფერი გამოსდიოდათ, 20 და მეტი ქულა ერთბაშად ოთხმა მათგანმა ჩაგდო. „სფურზს“ უფრო დაცვაზე ორიენტირებულ გუნდად იცნობენ, მაგრამ ტეხასელები ამჯერად შეტევაშიც არ მოიკოჭლებდნენ და დაცვაც რიგიანად ჰყავდათ დაყენებული.

„ასეა, ამ ბიჭებს თუ არ ჩაუყარ, მარტო თავდაცვით ვერ მოუგებ. თავიც რომ მოიკლა, „ფინიქსს“ 80 ქულაზე ვერ გაჩერებ. ამიტომ ჩვენ მათ მთელ თამაში გავუმართეთ და ოდნავ უკეთესი დაცვის ხარჯზე ვაჯობეთ“ — ამბობს „სან ანტონიოს“ თავკაცი გრეგ პოპოვიჩი და ცამდე მართალია ეს კაცი.

ოლონდ „სფურზის“ თავდაცვითმა ნაგებობებმა მაინც ვერ შეაკავა „ფინიქსის“ ფრთებგამოსხმული გამთამაშებელი სტივ ნეში, რომელმაც თავის წილადაც ბლომად ჰყარა ბურთები და ამარე სტუდემაიერსაც იმდენი პასი მისცა, ეს ჯეელი ამ პლეი ოფებში მეორედ ასცდა 40-ქულიან თამასას.

სამაგიეროდ, სტუმართა ფრთამ, ნბა-ს ერთ-ერთმა ყველაზე მოუმორებელმა მეურვემ ბრიუს ბოუენმა პირდაპირი გაგებით ხელი არ გაანძრევინა „ფინიქსის“ კიდევ ერთ ოლსტარელ შონ მარიონს, რომელმაც წინა მატჩში „დალასს“ 38 ქულა უმარჯვა, ახლა კი 38 წუთში ერთი ორქულიანის და ერთიც სამქარიმოს გარდა ვერაფერი იშოვა.

ერთი სიტყვით, ცაში აგვყავს „სან ანტონიო“ და მაინც ამ ყველაფრის მიუხედავად „ფინიქსი“ ამ დაძაბულ მატჩში თავისებურ ჩხვლეტებს ახერხებდა და მატჩის დამთავრებამდე 4 წუთით ადრე ბრენტ ბურის ზედიზედ მეორე სამიანით 106:98 რომ არ დაეწინაურებინა „სან ანტონიო“, ვინ იცის, რა მოხდებოდა... იქნებ ისევ „ფინიქსის“ საქებარი მიმოხილვა გამოგვსვლოდა.

კოტე ყორღია

რუსებს არც ესპანეთში გვანებებენ თავს

ვალიადოლიდში 20 წლამდე ასაკის მორაგბეთა ევროპის ჩემპიონატია გახსნილი. ესპანეთის ამ ქალაქში, როგორც ვიუწყებოდით, ჩვენი ახალგაზრდებიც ბურთაობენ და რუმინეთთან ერთად ტურნირის ფავორიტებადაც ითვლებიან.

22 მაისს მეოთხედფინალური მატჩები ჩატარდა და ნახევარფინალში გასულთა ვინაობაც გაირკვა. რუმინეთის ნაკრები უმოწყალოდ გაუსწორდა მოლდოველ ახალგაზრდებს და 98:3 მოუგო.

ლევან მგელაძის ბიჭებმა უფრო ნაკლები სხვაობით გაიმარჯვეს, სამაგიეროდ, პოლონელებს კინკილა საჯარიმოც კი არ გაატანინეს — 49:0 ქართველთა სასარგებლოდ.

რუსებისა და უკრაინელების ჯახი მოლოდინისამებრ რუსთა გამარჯვებით დასრულდა ანგარიშით 60:3. ესპანეთ — პორტუგალიის პირველობა დროებით ესპანელმა ყმაწვილებმა იძალეს — 31:2.

ასეა, პორტუგალიელებმა დიდ რაგბიში კი ჯერ ჩინეს კლანჭები, მაგრამ ესპანელთ უფრო ჩაუქი ახალგაზრდობა ჰყავთ.

ნახევარფინალები ხვალ გაიმართება. რუმინელები ტურნირის მასპინძელ ესპანეთის ნაკრების დამარცხებას შეეცდებიან და წესით, არც უნდა გაუჭირდეთ ფინალში გასვლა, „ბორჯღალოსნებს“ კი რუსებთან რკინა მოუწევთ და იმედია, არ შეგვარცხვენენ.

ლადო ფულუკიძე

ჯირო დიტალია 2005. 7-29 მაისი

კუჭი, მთა, ასფალტი
მორჩა ბასოს ჯიროთი

მე-14 ეტაპი. 22 მაისი. ენა — ლივინო. 210 კმ

1 ივან პარა (კოლუმბია, სელე იტალია)	6 სთ, 46 წთ, 33 წმ
2 ტადეშ ვალიავეიც (სლოვენია, ფონაკი)	+1 წთ, 50 წმ
3 ხოსე რუხანო გუილენი (ვენესუელა, სელე იტალია)	იგივე დრო
5 დანილო დი ლუკა (იტალია, ბიანკი)	+3 წთ, 15 წმ
6 ჯილბერტო სიმონი (იტალია, ლამპრე)	
7 ხუან მანუელ გარატე (ესპანეთი, საუნიე დიუვალი)	იგივე დრო
10 პაოლო სავოლდელი (იტალია, დისკოვერი)	+3 წთ, 43 წმ
19 დამიანო კუნეგო (იტალია, ლამპრე)	+4 წთ, 6 წმ
88 ივან ბასო (იტალია, CSC)	+42 წთ, 15 წმ

საერთო ჩათვლა

1 პაოლო სავოლდელი (იტალია, დისკოვერი)	67 სთ, 21 წთ, 28 წმ
2 დანილო დი ლუკა (იტალია, ბიანკი)	+25 წმ
3 ჯილბერტო სიმონი (იტალია, ლამპრე)	+1 წთ, 48 წმ
4 ხუან მანუელ გარატე (ესპანეთი, საუნიე დიუვალი)	+2 წთ, 11 წმ
5 ხოსე რუხანო გუილენი (ვენესუელა, სელე იტალია)	+2 წთ, 18 წმ
13 დამიანო კუნეგო (იტალია, ლამპრე)	+8 წთ, 3 წმ
23 ივან პარა (კოლუმბია, სელე იტალია)	+18 წთ, 24 წმ
36 ივან ბასო (იტალია, CSC)	+39 წთ, 22 წმ

AFP ბასო სტევიოზიდან

ამ ურთულესმა ეტაპმა საბოლოოდ იმსხვერპლა „ჯირო დიტალიას“ ერთ-ერთი ფავორიტი ივან ბასო. საერთო ჩათვლის ყოფილი ლიდერი ეს ორი დღეა, პირდაპირ გააწამა კუჭმა და სტომაქიდან წამოსულმა აუტანელმა ტკივილმა პირველი ადგილიდან სადღაც სიის სიღრმეში გადაისროლა, საიდანაც თავის დაღწევა და გამარჯვებაზე ფიქრი აბსურდულია.

ამ ოხერ მთებსაც რომ არ უჩანს ბოლო?! დოლომიტის ალპების დამორჩილება ბევრს არ ფეხეწიფება და მე-14 ეტაპი განსაკუთრებით რთული გამოდგა. 210-კილომეტრიანი გზის გავლას ყველაზე ჩაუქებმაც კი ექვს საათზე მეტი მოანდომეს და უმრავლესობა შვიდ საათშიც ვერ ჩაეტია. წარმოგიდგენიათ? შვიდი საათი პედლების ტრიალში და დაუსრულებელ აღმართებთან ჭიდილში. კიდევ როგორ ახერხებენ ეს ბიჭები მეორე დღეს ლოგინიდან ადგომას.

მერე რა აღმართები იყო... ეტაპის შუაში წამოყუდებულ მთა პასო სტეგიოზე ზღვის დონიდან 2 758 მეტრზე მდებარე კლიმა კოპის უელტეხილი ყველაზე მაღალი მოასფალტებული ადგილია იტალიაში. იქიდან ხეობაში დაშვებულ მრბოლებს კიდევ 2 291 მეტრზე მოუწიათ ასვლა. ერთი სიტყვით, ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო, სადაც ჟანგბადიც კი არ არის.

ბასოს კი მთებთან ჭიდილის თავი სად ჰქონდა, 36 საათი არ უჭამია და არც რამე დაულევია. ამბობდა, როგორც კი რაიმეს გადავყლაპავ, მაშინვე მაღებინებსო. ეს საშინელი ეტაპი ჯერ ხეირიანადაც არ დაწყებულიყო, რომ დაახლოებით 26-27 კილომეტრის გავლის შემდეგ მრავალტანჯული ბასო მოწინავეებს ჩამორჩა და მთელმა მისმა გუნდმაც შეანელა სვლა. ჩაიყენეს ლიდერი შუაში და ძლივს მიიყვანეს ფინიშამდე. მაგრამ რად გინდა, ბასომ 88-ემ გადაკვეთა ფინიში, გამარჯვებულთან 42 წუთი წააგო და საერთო ჩათვლაში 36-ე ადგილამდე დაეცა ლიდერ სავილდელისთან თითქმის 40 წუთიანი განშორებით. ეს მისთვის დასასრულს ნიშნავს.

AFP ბასო სტევიოზიდან

ჯიროს კი ახალი გმირი ჰყავს — კოლუმბიელმა ივან პარამ ზედიზედ მეორე სამთო ეტაპი მოიგო და ბოლო ექვს წელიწადში ამის შემძლე პირველი კაცი გახდა. ბოლოს ეს 1999 წელს მოახერხა ლეგენდარულმა, აწ განსვენებულმა მარკო პანტანიმ. პარა პანტანის გაქანების ველომხედარი ვერაა და წყვილი ძნელი გამარჯვების მიუხედავადაც მხოლოდ 23-ეა საერთო ჩათვლაში, ლიდერთან 18-წუთიანი ჩამორჩენით, თუმც ზედიზედ ორი ეტაპის მოგება მაინც ვაჟკაცობაში ჩაეთვლება.

რაც შეეხება საერთო ჩათვლის ვაცს, პაოლო სავოლდელისთვის ეს დღე საუკეთესო არ იყო, თუმც მან შეინარჩუნა ლიდერის ვარდისფერი მაისურა და ამითაც კმაყოფილია, მით უფრო, რომ ბოლო 80 კილომეტრი მარტომ, თანაგუნდელთა ესკორტის გარეშე იარა, ფინიში მეათემ გადაკვეთა და მხოლოდ ნახევარი წუთით ჩამორჩა ძირითად კონკურენტებს — დანილო დი ლუკას და ჯილბერტო სიმონის.

საერთო ჩათვლაში ოდნავ წაიწია ჯიროს შარშანდელმა ჩემპიონმა დამიანო კუნეგომ, თუმც ის ალბათ მაინც ვერ მოახერხებს ტიტულის დაცვას.

კოტე ყორღია

პირველი წრე

კაცები

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — დუდი სელა (ისრაელი) 6:1 6:4 6:0; **რაფაელ ნადალი** (4, ესპანეთი) — ლარს ბურგსმიულერი (გერმანია) 6:1 7:6 (7:4) 6:1; **კარლოს მოია** (14, ესპანეთი) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 5:7 6:1 6:4 6:2; **რადეკ შტეპანეკი** (16, ჩეხეთი) — პარადორნ შრიჩაფანი (ტაილანდი) 3:6 6:3 6:1 6:1; **იანკო ტიპსარევიჩი** (სერბეთი და ჩერნოგორია) — დომინიკ ჰრბატი (17, სლოვაკეთი) 7:6 (7:5) 6:3 3:6 6:3 8:6; **მარიო ანჩიჩი** (18, ხორვატია) — მარკუს დანიელი (ბრაზილია) 6:2 6:1 7:6 (7:4); **სებასტიან გროუსანი** (23, საფრანგეთი) — ხუან მონაკო (არგენტინა) 7:5 6:3 6:1

ქალები

ლინდსი დევენპორტი (1, აშშ) — კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) 3:6 6:2 6:2; **ელენა დემენტიევა** (4, რუსეთი) — ბარბორა სტრიჩოვა (ჩეხეთი) 6:3 6:3; **მარია სანჩეს ლორენსო** (ესპანეთი) — ანასტასია მისკინა (5, რუსეთი) 6:4 4:6 6:0; **ჰიმ კლაისტერსი** (14, ბელგია) — მეილენ ტუ (აშშ) 6:1 6:0; **ელენა ლიხოვცევა** (16, რუსეთი) — იულიანა ფედაკი (უკრაინა) 2:6 6:4 6:4; **შინობუ ასაგოე** (19, იაპონია) — იულია შრუფი (გერმანია) 7:5 6:2; **დანიელა ჰანტუხოვა** (20, სლოვაკეთი) — მიქაელა კრაიჩეკი (ჰოლანდია) 6:3 6:1; **მარი პირსი** (21, საფრანგეთი) — ვერა დუშევინა (რუსეთი) 6:2 7:5; **ვირჯინი რაზანო** (საფრანგეთი) — დინარა საფინა (25, რუსეთი) 6:3 6:3; **კაროლინა შვრემი** (31, ხორვატია) — მარია ელენა კამერინი (იტალია) 6:4 6:2

ლინდსი და კიმი

საიმისოდ, რათა ფილიპ შატრიეს კორტს გასჩვეოდა და ის ფორმა უკუეპყრო, რამაც — მისი იმედით — ერთადერთ მოუგებელ სლემტურნირზე უნდა ახეიროს, ამქრის პირველოსან ლინდსი დევენპორტს სეტი და კიდევ სეტის ნახევარი დასჭირდა. ზუსტად ამდენი ხანი ეპაექრებოდა მას ტოლსწორად სლოვენიელი კატერინა სრებოტნიკი, მერე კი 28 წლის ლაზიერი აზრზე მოვიდა და მატჩის ვაგლახად შექანებული სასწორი სათავისოდ გადახარა.

შეგახსენებთ, რომ როლანგაროსობის გარდა დიდი მუზარადის სამსავე ტურნირზე ნაჩემპიონარ დევენპორტს წლევანდელი ევროთიხნარობა ჯერ კიდევ ჩარლსტონაზე მიღებულმა მცირე ტრავმამ ჩაუგდო. ამის გამო მრავალნი ვარაუდობდნენ, რომ ლინდსი საამტურნიროდ ფავორიტთა შორის არ უნდა შერაცხულიყო. გუშინდელმა შეხვედრამ ვერც დაეჭვებულთ გასცა საკიდრისი პასუხი და ვერცთუ ქომაგები შეაგულიანა. მურტალი ის არის, რომ ლინდსის ამჟამინდელ ფორმაზე სრულ წარმოდგენას ვერც მეორე წრეში შევიქმნით, რადგანაც იქ ის უსახელო ჩინელ შუაი პენს უნდა შეხვდეს.

სწორედ ამავე თვალსაზრისით — ფორმაშია თუ არა? — გვაინტერესებდა ტურნირის ორგზის, 2001 და 2003 წლების ფინალისტ კიმ კლაისტერსის თამაშის ხილვაც. გეხსომებათ, მაჯის ხანგრძლივი ტრავმიანობის მერე ამ ორი-სამი თვის წინ კორტზე დაბრუნებულმა ბელგიელმა ბერლინში მარჯვენა მუხლი იტკინა და ბოლო მომენტამდე უცნობი იყო, გარისკავდა თუ არა პარიზში ჩასვლას. ჩვენდა საბედნიეროდ კიმმა გარისკა და, მართალია, კორტზე უმძლავრესად მუხლგაძაგრული გამოგვმანდა, მაგრამ ამერიკელ მეილენ ტუს ასეთიც ეყო — 6:0 6:1. გუშინ ის საოცრად თავდაჯერებულად გამოიყურებოდა და ნამატჩევსაც კმაყოფილობდა — გამიმართლა. ასე იოლად რომ გავშტრიალდიო.

იმედია, გაშტრიალება არც მეორე წრეში გაუჭირდება, რადგანაც სერიოზული მეტოქე არ იქ ელის.

ისე კი, მოგაგონებთ, რომ 2003 წლის ფინალისტი ... ფეხმტკივანი ჩავიდა. მაგრამ ამის მიუწედავად ფინალიდან ... ?

ნახევარფინალისტან ... !

ტურნირის მთავარფავორიტებად შერაცხულებმა — ამქრის პირველოსანმა როჯერ ფედერერმა და წლეულს ხუთი თიხნარტიტულის მომხვეჭმა რაფაელ ნადალმა თავიანთ საპირველწრეო ამოცანები სეტისწაუგებლად გადაჭრეს. შვეიცარიელმა, ვისაც შანსი აქვს, დიდი მუზარადის ოთხივე ტურნირის მომგები მეექვსე კაცი გახდეს, ძალდაუტანებლად გადაურბინა 20 წლის ებრაელ კვალიფიკანტ დუდი სელას, ვინაც რეიტინგსიის 262-ე ადგილზე დგას და ფედერერის წინააღმდეგ თავისი პირველი საეტპიო მატჩი ითამაშა.

ამ შეხვედრას მოულოდნელად ველოდით, ამბობდა ნამატჩევს ფედერერი, ვისაც — ლინდსი დევენპორტისა არ იყოს — დიდი მუზარადის ყველა ტურნირი მოუგია როლანგაროსობის გარდა და საუკეთესო იქაურ მიღწევად 2001 წელს მეოთხედფინალში თამაშს დაიკვეხს. მართალია, თავიდან ცოტა გამიჭირდა, მაგრამ მერე ყველაფერი რიგზე იყოო, დასძენდა ის და ჩვენც შეგახსენებთ, რომ წლეულს გამართული 44-ე მატჩში მან უკვე 42-ჯერ იმარჯვა.

რაც შეეხება თავის პირველ როლანგაროსობაზე მოჩოგნავე ნადალს, გერმანელი ბურგსმიულერის წინააღმდეგ მას მხოლოდ მეორე სეტში გაუჭირდა, თორემ პირველში და მესამეში არავითარი პრობლემა არ შეჰქმნია. თუკი ის და ფედერერი წარმატებულ სვლას მეოთხედფინალის ჩათვლითაც განაგრძნობენ, 3 ივნისს, რაფაელის დაბადების დღეს, მათი ნახევარფინალის მომსწრენიც გავხდებით.

ლევან კელაურაძე



ანასტასია მისკინა



რაფაელ ნადალი

როლან გაროსი 2005

ჩემპიონის ანტირეკორდი

ანასტასია მისკინა გუშინ გახდა პირველი ტიტულდამცველი მეჩოგნე, ვინაც როლანგაროსობის პირველივე წრიდან გავარდა. ის რომ აქ ისედაც არაფრის მიმღწევი არ იყო, ამაში ცოტა ვინმე თუ ეჭვობდა — მას შემდეგ, რაც რომ შარშანდელი სეზონის დამლევს მან ლომის წილი დაიდო რუსქალთა მიერ ფედერაციის თასის მოგებაში, მისკინამ ვეღარ იქნა და წლეულს სასურველი ფორმა ვეღარ აღიდგინა. ამას მეორე მხრის ტრავმაც დაერთო, ხოლო მისი ფსიქიკა სულ მთლად გაუტეხავს დედამისის ავადმყოფობას, რაზეც მან პირველად სწორედ გუშინდელი მარცხის შემდეგ ისაუბრა.

ესპანელი მარია სანჩეს ლორენსოს წინააღმდეგ, ვისაც ცხოვრებაში მხოლოდ ერთი სადაბლიუტიეო ტიტული მოუნაგრავს (1999 წელს კნოკე-ჰაისტში), ძალზედ უხალისოდ მობურთალმა ტასიამ 69 უნებლიე შეცდომა დაუშვა და, პირველ ორ სეტში კიდევ თუ იბრძოლა, მესამეში საერთოდაც ჩაიფლავა.

ამგვარად, ის გოგო, ვინაც შარშან სათავე დაუდო რუსქალთა ლიანგურ აღზევებას, დიდი მუზარადის ტურნირთა ისტორიაში ერთი ყველაზე ღონიერი ანტირეკორდის ავტორი შეიქნა.

საროლანგაროსო ამგავ-ხაგარი

ლუნდგრენი: „როლან გაროსი მარატის უსაყვარლესი ტურნირია“

მიუხედავად იმისა, რომ წლევანდელი თიხნარსეზონი მაგრად ჩაგდო, მარატ საფინი როლანგაროსობის ერთ-ერთ ფავორიტად მაინც მიიჩნევა. მისი მწვრთნელი, პიტერ ლუნდგრენიც ისე ფიქრობს, რომ მარატი ჩამოსაწერი სულაც არ არის და რომ პირუკუ, საფრანგეთის წლევანდელ ღია პირველობას ის როგორც არასდროს ისეთ მობილიზებული ხვდება...

— როგორ მიმდინარეობდა მოსამზადებელი პროცესი?

— ძალიან კარგად. პარიზში ორშაბათიდან ვართ და მარატიც დღითიდღე აუმჯობესებს თამაშს. ის სულ უფრო აგრესიული ხდება და ისე ჩანს, ამ ორკვირეულისთვის უკვე კაცურადაა მომზადებული. როგორც ყოველთვის, ამ ჯერზეც გადამწყვეტი მისთვის პირველი ორი მატჩი იქნება.

— თქვენ ფიქრობთ, რომ მარატი შარშანდელზე უკეთ მოემზადა? როგორც გვახსოვს, შარშან ის ადვილად კარგავდა მოთმინებას.

— შარშან განსხვავებული ვითარება იყო. ჯერ ერთი, ჩვენ ერთმანეთს ჯერ კიდევ კარგად არ ვიცნობდით. მას მერე ჩვენ მართლაც შევეგუეთ ერთმანეთს და ვისწავლეთ ერთად მუშაობა. მარატი მართლაც მოუთმენელი იყო, მაგრამ ისიცაა, რომ საუკეთესო თამაშის ჩვენება ვერც წყლულების გამო მოახერხა. თანაც პირველი კვირის განმავლობაში რამდენიმე უხანგრძლივესი მატჩი გადაიტანა. გავიმეორებ, რომ გადამწყვეტი მისთვის კვლავ პირველი მატჩები იქნება — თუკი გაატანს, მაშინ დარწმუნებული ვარ, ბოლომდეც მივა.

— მარატმა ახლახან თქვა, რომ როლანგაროსობა მისი უმთავრესი მიზანია. მას უკვე მოუგია აშშ-ისა და ავსტრალიის ღია პირველობები და ფიქრობს, რომ უიმბლდონზე ალბათ ვერასოდეს იხეირებს...

— ეს სიმართლეა. როლან გაროსი მისი უსაყვარლესი ტურნირია. აქ საფარი უფრო სწრაფია ვიდრე სხვა თიხნარსარბიელეებზე და მის სტილს სწორედ ეს უფრო ეხამება. მას საერთოდ უყვარს თიხნარი, ოღონდ კორტი საუცხოო მდგომარეობაში უნდა იყოს. ამის გამო ის აქ თავს უფრო თავისუფლად გრძნობს, ვიდრე ჰამბურგში, რომში ან ბარსელონაში.

— ავსტრალიობის მოგების შემდეგ მან ვერ იქნა და მოგება მოგებას ველარ წაბა, რით ახსნი ამას?

— იმ ტურნირის შემდეგ ის ცოტა დაღლილი იყო და ამის გამო მომდევნო შეჯიბრებებზე ფოკუსირება გაუძნელდა. მაგრამ რომის შემდეგ, მჯერა, რომ მისი განწყობა ისევ გამოსწორდა და რომ ის ახლა ისევ მზად არის თავისი პოტენციის სრულად გამოსავლენად.

ჟუსტინი შტეფის ბრალი ყოფილა

ტურნირის შარშანწინდელი ჩემპიონი, 22 წლის ბელგიელი ჟუსტინ ენენ-არდენი საქმეში დღეიდან ჩაერთვება, თუმცა პარიზულ სეფეთიხნარზე ჩოგნის გაქნევა — და თანაც თავის კერპთან ერთად — მან კვირას უკვე მოასწრო.

აქვე წარმოდგენილი ფოტოს შემხედვარე თქვენ ალბათ არ გაგიჭირდებათ იმის გამოცნობა, რომ ჟუსტინის კერპი ქველი დროის ერთი უდიადესთაგანი ქალმეჩოგნე, ლეგენდარული გერმანელი, კაი ბიჭის ცოლი შტეფი გრაფია. მე რომ ჩოგბურთის თამაში დავიწყე, ეგ სწორედ შტეფის ბრალიაო, იძახდა იმ დღეს ჟუსტინი და მერე დასძენდა — შარშან პირველად რომ ვიბურთავე, როგორც პატარა გოგო, ისე ვცახცახებდი...

კვირას ჟუსტინს აღარ უცახცახია — მან და შტეფიმ, მათთან შეწყვილებულ მარატ საფინსა და ჟილ სიმონთან ერთად მსუბუქად წაიკეჭნავეს და მერე ღიმილოსნურად ჩაფოტოვდნენ კიდეც ამ საჩვენებელ ტანცი-მანცის კი ძალი მილეთი ესწრებოდა და ვგონებ, რომ არც მოუწყენია.

ისე კი შეგახსენებთ, რომ შტეფიმ დიდი კორტი 1999 წელს დატოვა, წლევანდელ როლანგაროსობას კი უმთავრესად თავისი 35 წლის მეუღლის, ანდრე აგასის საქმიანოდ სტუმრობს, ვინაც, ბარემ ამასაც შეგახსენებთ, თავის მე-17 სეფეთიხნარობაზე გამოდის.

საქართველოს XV ჩემპიონაჯი

მეორე ფინალური წრე

უცვლელ ჩემპიონს ისევ ვერავინ შეებედა

საქართველოს 2005 წლის ჩემპიონი „სტუ-შევარდენი“: სხედან (მარცხნიდან) ალექსანდრე ბოყოჩაძე, დავით ნიკოლაიშვილი, ამირან ყიფიანი, აკაკი ტალახაძე, გიორგი ჭობელაშვილი, კორნელი ანდრიაძე; დგანან გიორგი სამყურაშვილი, მამია კობახიძე, დავით ნადირაძე, ვლადიმერ რუსია, ომარ ყიფიანი და მთავარი მწვრთნელი ირაკლი კეკელიძე

სტუ-შევარდენი 35:26 თბილისი

სტუ-შევარდენი: ბოყოჩაძე (გაიტანა 12 გოლი) კობახიძე (11), ქობელაშვილი (4)

თბილისი: სამარლანიშვილი (12), გელაშვილი (5), სულიკაშვილი (3), ფორაქიშვილი (3)

საუ-მამული 27:25 ქარიშხალა

საუ-მამული: წივწივაძე (13), ცოტაძე (4) მაისურაძე (3),

ქარიშხალა: სიგუა (7), საჯაია (6), ქირია (3), გრიშიკაშვილი (3), ქუთათელაძე (3)

თელავი 36:35 ქუთაისი

თელავი: ჯიშკარიანი (13), გიორგელაშვილი (9), ნატროშვილი (7), ზუროშვილი (4)

ქუთაისი: მამასახლისი (14), ჩუბინაშვილი (6), გობეჯიშვილი (5), გოგონაძე (4)

მარათონული ტურნირის დასკვნით დღეს ერთმანეთს ცხრილში მეზობლად მდგომი გუნდები შეხვდნენ. ეგაა, ჩემპიონ-პრიზიორები ვადამდე გარკვეულნი რომ არ ყოფილიყვნენ, თამაშებს მეტი ხიბლი ექნებოდა, თუმც სიმწვავე მაინც არ მოჰკლებია.

სათამაშო სახეობებში კახეთის საუკეთესო გუნდმა — „თელავმა“ პრინციპულ მატჩში მხოლოდ მინიმალური უპირატესობით სძლია „ქუთაისს“. ასევე ბოლო წუთამდე დაძაბული ბრძოლა იყო საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „მამულსა“ და ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის ოლიმპიური ცენტრის „ქარიშხალას“ შორის. თავიდან მამულელები ძალიან კი გაიჭრნენ წინ და საქმეც პირველივე ტაიმში მოთავებული ჩანდა, მაგრამ თითქოს უმოტივაციო ქარიშხლელებმა შესვენების შემდეგ მოედანზე ისეთი ცეცხლი დაანთეს, რომ ქულას მაინც იმსახურებდნენ.

შესანიშნავად ითამაშა „ქარიშხალას“ ორმეტრიანმა ხაზელმა ირაკლი სიგუამ, რომელსაც რაკი თანაგუნდელები ზუსტი პასებით „ხსნიდნენ“, მიყოლებით გაჰქონდა გოლები და საბოლოოდ შვიდი ზუსტი ტყორცნა მიითვალა. როგორც ყოველთვის, მეტოქეთა კარზე დაგეშილი მიხეილ საჯაია ჩვეულ შორიდან მაღალ ნახტომში ბომბავდა ალექსანდრე ხონელიძეს და ექვსჯერაც გაუტანა, თუმც აშკარად ნიჭიერი ფორვარდის თამაშში წუნიც საკმაოდ შეიმჩნეოდა.

მამულელებმა უმთავრესად თავიანთი კაპიტნის, შეუჩერებელ გიორგი წივწივაძის მორიგი, ამჯერად 13-გოლიანი სერიით დაძაბული მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანეს. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ ჩემპიონატის შარშანდელ ორ ტურში გიორგის არყოფნის (იგი ირანის ჩემპიონატში გამოდიოდა) და კიდევ სამი წამყვანი მოთამაშის ტრავმის გამო „საუ-მამულმა“ ვერ შეძლო „ხელბურთის კლუბ თბილისთან“ ვერცხლის მედლებისთვის შებრძოლება. თუმც დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ აშკარად მომძლავრებული „თბილისი“ მეორე ადგილს არავის დაუთმობდა. ის კი არა, პირველ წრეში საქართველოს უცვლელ ჩემპიონ „სტუ-შევარდენის“ დამარცხების შემდეგ თბილისელებს საჩემპიონო შანს-ამბიციაც გაუჩნდათ, მაგრამ ფავორიტთა საბოლოოდ ძლევა ვერ შეძლეს.

ცენტრალურ მატჩსაც მივადექით. ოქროს მაძიებლების პირველი შეხვედრა, რომელიც შარშან ოქტომბერში თელავში, თამაზ ანთაძის სახელობის სპორტთამაშების სკოლის დარბაზში გაიმართა, „თბილისმა“ საკუთარ ძალებში ზედმეტად თავდაჯერებულ ტექნიკოსებს დამაჯერებლად, თუმც მხოლოდ სამბურთიანი სხვაობით მოუგო. ზოგი ჭირი მარგებელიაო და ეს მარცხი ჩემპიონებისთვის სწორედ რომ დოპინგი გამოდგა. მეტოქეთა მომდევნო სამი მატჩი მათ უმაღლეს, საჩემპიონო დონეზე ჩაატარეს და სამჯერვე დიდი უპირატესობით სძლიეს ძლიერ მოწინააღმდეგეს, შესაბამისად ცხრა, ათი და ისევ ცხრაგოლიანი სხვაობით.

ცხადია, „სტუ-შევარდენის“ ყველა წევრი იმსახურებს შექებას, თუმც მაინც გამორჩეულად უნდა აღინიშნოს გუნდის ბომბარდირ-კაპიტანი ვლადიმერ რუსია, რომელმაც 300-ჯერ გაიტანა მეტოქეთა კარში და არავის დაუთმო მთავარმეგოლეობა.

ვლადიმერ რუსია

ვოვა დაიბადა 1984 წლის 30 მაისს თბილისში. ბავშვობიდან კალათბურთზე დადიოდა, მაგრამ [illegible] დამთავრების შემდეგ კალათბურთი ხელბურთით შეცვალა. [illegible] სთვის კი ხელ საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზაზა დოლიძემ „იპოვა“. მას აქვთ რუსია „სტუ-შევარდენის“ ღირსებას იცავს და გუნდის მთავარი მწვრთნელის ირაკლი კეკელიძის თქმით, მეტად შრომისმოყვარე, სერიოზული პიროვნებაა, ხშირად რჩება ვარჯიშის შემდეგ დარბაზში ამა თუ იმ ტექნიკური ელემენტის, ძირითადად კარში ზუსტი ტყორცნების დასახვეწად. 202-სანტიმეტრიან მეგოლეს დაცვაში თამაშიც ეხერხება და მეტოქის გადაცემის უცაბედი ჩაჭრისას სპრინტერული შეტევაც, რაც პრაქტიკულად ყოველთვის გოლის გატანით სრულდება.

სასიამოვნოა, რომ ვლადიმერს უცხოეთში თამაშის ვარიანტი გამოუჩნდა და შემოდგომიდან ალბათ შვედეთში გაგრძელებს კარიერას.

რაც შეეხება ეროვნულ სეზონს, რვათვიანი მარათონი კვირის ბოლოს საქართველოს თასის გათამაშებით დასრულდება. შაბათს კი საჩემპიონოლამაზი თასი ხელბურთის ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტმა მამუკა სხიერელმა ვლადიმერ რუსიას ჩაბარა

გია ახალაძე

სატურნირო ვითარება

	ე	ფ	წ	ბ	ქ
სტუ-შევარდენი	26	0	1	+382	52
თბილისი	21	1	5	+95	43
საუ-მამული	17	1	9	+232	35
ქარიშხალა	13	1	13	+8	27
თელავი	12	0	15	-65	24
ქუთაისი	9	1	17	-85	19

მეგოლეები

		გუნდი	გოლი	თამაში	საშ.
1	ვლადიმერ რუსია	სტუ-შევარდენი	300	25	12,0
2	გიორგი წივწივაძე	საუ-მამული	281	22	12,8
3	ლაშა სამარღანიშვილი	ხ/კ თბილისი	212	27	7,9
4	ვახტანგ ჯიშკარიანი	თელავი	189	25	7,6
5	გოჩა მშვიდობაძე	გორი	184	16	11,5
6	გიორგი ნატროშვილი	თელავი	179	27	6,6
7	გიორგი კობახიძე	საუ-მამული	171	27	6,3
8	ირაკლი ქირია	ქარიშხალა	158	24	6,6
9	ალიკ გიორგელაშვილი	თელავი	156	27	5,8
10	ლევან გელაშვილი	ხ/კ თბილისი	149	27	5,5

მ-ტელ მასტერსის ტურნირი

სოფია. ბულგარეთი. 11 - 22 მაისი

X ტური

რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) — მაიკლ ადამსი (ინგლისი) 0,5:0,5
ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) —ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) 0:1
ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) — იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) 0,5:0,5

იუდიტ პოლგარი



ვესელინ ტოპოლოვი

1	ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი)	6,5 ქულა
2	ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი)	5,5
3	იუდიტ პოლგარი (უნგრეთი)	5,0
4	რუსლან პონომარიოვი (უკრაინა)	5,0
5	ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი)	4,0
6	მაიკლ ადამსი (ინგლისი)	4,0

ტოპალოვი თავში, ადამსი...

ბულგარელი დიდოსტატი ვესელინ ტოპალოვი მ-ტელ მასტერსის ტურნირის გამარჯვებული გახდა.

წლევანდელი სეზონი ტოპალოვს ურიგოდ არ დაუწყია. ჯერ იყო და ვეიკ ან ზეეს სუპერტურნირზე მესამე ადგილი აიღო, შემდეგ ლამის ლინარესი მოიგო, ახლა კი საკუთარ სამშობლოში მ-ტელ მასტერსზე იპოვა. ვესელინმა თუ ასე გააგრძელა, ეგებ მალე ფიდეს რეიტინგში ანანდსა და კასპაროვს გადაუსწროს.

ტურნირზე ორგანიზატორთა მიერ ახალი, მკაცრი წესები იყო შემოღებული. მოჭადრაკეებს თამაშისას ერთმანეთთან ეკრძალებოდათ საუბარი და ყაიმის გამოცხადება მხოლოდ გარკვეულ შემთხვევაში ჰქონდათ ნებადართული — თუ სვლებს სამჯერ გაიმეორებდნენ, მეფეზე მუდმივ ჯიშს გამოაცხადებდნენ, ანაც თე თეორიულად სხვა საშუალება აღარ ექნებოდათ. ორგანიზატორთა ექსპერიმენტმა გაამართლა და სოფიაში ნამდვილი ბრძოლები ვიხილეთ. ჩატარებული 30 პარტიიდან მხოლოდ 18 დასრულდა ყაიმით, რაც თანამედროვე ჭადრაკში დიდ მიღწევად ჩაითვალა. თანაც რამდენიმე ყაიმის დროს მეტოქეებს მხოლოდ მეფეები ჰყავდათ დაფაზე დარჩენილი და უკვე სენად ქცეული სწრაფი ყაიმები სოფიაში აღარ ყოფილა.

ტურნირზე ყველაზე მეტი, ოთხი მოგება ტრიუმფატორ ტოპალოვს მოუგროვდა. მეათე ტურში მან კლასიკური ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი კრამნიკი დასცა. ბოლო სამი წელია, რუსი დიდოსტატი ღია დებიუტებს უფრთხის და გამონაკლისი არც სოფიური შეხლა ყოფილა. მეტოქეებმა ცენტრში გამოიყვანეს ფიგურები და დაფის ეს ნაწილი საკმაოდ გადაიტვირთა. ან თეთრები უნდა დარჩენილიყვნენ იქ, ანაც შავები. ამიტომაც 21-ე სვლიდან დიდი შეტაკება დაიწყო. ბრძოლაში იოლად შეძლო ტოპალოვმა გამარჯვება და 34-ე სვლაზე მორიგი ქულა აიღო.

ყაიმით დასრულდა ანანდ-პოლგარის შეხვედრა და მათ შესაბამისად მეორე-მესამე ადგილები გაინაწილეს. პლანეტის საუკეთესო ვაჟმა და მანდილოსანმა სიცილიური პარტია გაითამაშეს და 45-ე სვლაზე დაასრულეს ბრძოლა.

ოთხ-ოთხი ქულით ბოლო ადგილებზე კრამნიკი და ადამსი განთავსდნენ. აღსანიშნავია, რომ საწყის ტურებში ინგლისელი დიდოსტატი ერთბოროვნულად ლიდერობდა ცხრილს, თუმც მეორე წრეში გადაიღალა და სამარცხვინო ადგილს დასჯერდა.

ლაშა გეგეჭკორი



ტოპალოვმა 34-ე სვლაზე მეოთხე გამარჯვება მოიპოვა

სკამბორბალა

ეს უკრაინული წყვილი ევრაზიის 2005 წლის თასისთვის იბრძვის. ამბავი პეტერბურგში ხდება, ხოლო 1960-იანი წლების მიწურულს ინვალისში მოგონებულ სახეობას ალბათ სკამბორბალათი ცეკვა ჰქვია. ამ შეჯიბრების ეშხით ფიზიკური ნაკლის მქონე სპორტსმენები ცხრა ქვეყნიდან შეყრილან.

AFP სანკტ პეტერბურგიდან

შუაგულ საფრანგეთში, კლერმონ-ფერანში იაპონელი მოჭიდაკე გოგოები, ერი საკამოტო და კაორი იჩო უკრაინის წინააღმდეგ მსოფლიო თასის ფინალს მასაჟ-მასაჟ ელიან და აცინებათ.

AFP კლერმონ-ფერანიდან

ნიუ იორკ, ნიუ იორკ!

იფ, იფ ჯენიფერ ლოპესი და ბედნიერი ქმარი მისი, მომღერალი მარკ ენტონი ნიუ იორკ სიტის სიახლოვეს, „შეა სთედიუმზე“, „ნიუ იორკ იანკის“ და „ნიუ იორკ მეტსის“ ბეისბოლისტთა თამაშზე მისულან სამარიაჟოდ. „მეტსმა“ 7:1 მოიგო.



AFP ნიუ იორკიდან

გიტარა და ჩქარი ტაში

მონაკოში, „ვარსკვლავური ომების“ პერსონაჟის, ჩიგბაკას გვერდით, ვარსკვლავურად შეღებილ მანქანაზე ორი მეფორმულე ბილოტი ზის, ავსტრიელი კრისტიან კლაინი და იტალიელი ვიტანტონიო ლიუცი — რეკლამის ამბავია. ჩრდილო კაროლინაში კი პამელა ანდერსონი სპიდვეის მეოლსტარე დიდოსტატებს ხელს უქნევს, Start-ო. ესეც რეკლამის ამბავია.



AFP მონაკო კარლოდან

AFP კოლორადოდან

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიბრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი ღარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხოფერია, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კელაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge